პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 3 იანვარი, 1945 წ. № 2 (7217). ფასი 20 კაპ.

სკოლა და კომკავშირი

საბჭოთა სკოლას უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე აკისრია. იგი პატრიოტიზმის სულისკვეთებით ზრდის ყოველმხრივ განვითარებულ, შრომისმოყვარე ახალგაზრდა თაობას. საბჭოთა სკოლაში აღზრდილმა ათასობით ახალგაზრდამ ასახელა დედა სამშობლო ფრონტზე გმირული ბრძოლით და ზურგში თავდადებული შრომით.

პარტია და ხელისუფლება, პირადად ბელადი სტალინი ყოველმხრივ ზრუნავენ საბჭოთა სკოლისათვის. ამიტომ ომიანობის ძნელ პირობებშიც განუხრელად უმჯობესდება და მტკიცდება სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა სკოლაში.

კომკავშირს, საბჭოთა ახალგაზრდობის ავანგარდსა და ორგანიზატორს, უაღრესად სერიოზული ამოცანები აკისრია მომავალი თაობის აღზრდის საქმეში. „კომკავშირის მუშაობა სკოლის ახალგაზრდობაში მიჩნეული უნდა იქნას როგორც პირველხარისხოვანი, უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მუშაობა“,—ნათქვამია საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის დადგენილებაში.

სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობა წარმოადგენს მთელი იმ აღმზრდელობითი მუშაობის განუყოფელ ნაწილს, რასაც სკოლაში ეწევიან დირექტორები და მასწავლებლები.

კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან მხარში ამოუდგნენ მასწავლებელს ისეთი თაობის აღზრდაში, რომელიც მზად იქნება ყოველგვარი სიძნელეები გადალახოს და საგმირო საქმეებით ასახელოს სამშობლო, გამზრდელი სკოლა.

ბევრმა სასკოლო კომკავშირულმა ორგანიზაციამ სწორად გაიგო XII პლენუმის დადგენილება და იგი თავის მუშაობას საფუძვლად დაუდო. თბილისის მე-12 ქალთა სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის (კომიტეტის მდივანი ამხ. მ. კობახიძე) მთელი საქმიანობა სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. კომკავშირული ორგანიზაცია კარგად იცნობს სკოლის ცხოვრების ყოველ კუნჭულს, მის მიერ მიღებული დადგენილებანი, რომელთა შემუშავებაში მონაწილეობენ სკოლის დირექტორი და მასწავლებლები, ხელს უწყობენ სკოლას სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გაუმჯობესებაში.

სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციის დაუყოვნებლივი მსჯელობის საგანი ხდება დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენა. სკოლას პირველ მეოთხედში 8 ჩამორჩენილი მოსწავლე ჰყავდა, კომკავშირის დახმარებით ამჟამად ისინი სწორდებიან. კომკავშირის რიგები იზრდება მოწინავე მოსწავლეებით, ყოველი ახალი წევრის კომკავშირში მიღება ხდება დირექტორთან და კლასის ხელმძღვანელთან წინასწარ საუბრის შემდეგ. სკოლის მთლიანი კოლექტივის შეხმატკბილებული მუშაობის შედეგია, რომ აქ იშვიათია დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. მეორე მეოთხედში სკოლას არც ერთი ჩამორჩენილი მოსწავლე არ ეყოლება.

ასევე კარგად გაიგო თავისი ამოცანები თბილისის 24-ე ვაჟთა სკოლის კომკავშირულმა ორგანიზაციამ, რომლის მდივანია ფრიადოსანი მოსწავლე ქარხალაშვილი, ოქროს მედლის კანდიდატი.

მაგრამ ყველა სასკოლო კომკავშირული ორგანიზაცია როდი ჩასწვდა XII პლენუმის დადგენილების შინაარსს. თბილისის პირველი ვაჟთა სკოლის კომკავშირული ორგანიზაცია ნაკლებად ეხმარება სკოლის დირექტორსა და მასწავლებლებს მუშაობაში. აქ თავის დროზე არ იწვევა კომკავშირული კრებები. მოსწავლეთა ჩამორჩენილობასა და უდისციპლინობას კომკავშირის კომიტეტი ურიგდება. კომკავშირელთა ცუდი სწავლა არ ხდება ორგანიზაციის მსჯელობის საგნად. ამიტომ იყო, რომ პირველ მეოთხედში 78 მოსწავლე კომკავშირელიდან 30 აკადემიურად ჩამორჩენილი იყო, მათ შორის კომკავშირელი აქტივისტებიც. სკოლაში ადგილი აქვს გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევებს.

სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციის ამოცანაა თავისი მუშაობა მჭიდროდ დაუკავშიროს მთელი სკოლის კოლექტივის მუშაობას, ყური დაუგდოს დირექტორისა და მასწავლებელთა რჩევა-დარიგებას, გვერდში ამოუდგეს მათ მოსწავლეთა აღზრდის საქმეში. უდისციპლინობის ყოველ შემთხვევას, აკადემიურ წარუმატებლობას სასკოლო კომკავშირული ორგანიზაცია დაუყოვნებლივ უნდა გამოეხმაუროს, უფროსებთან შეთანხმებით მიიღოს ზომები უდისციპლინობისა და ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად. კომკავშირს უნდა აღელვებდეს სკოლის მუშაობის ყველაზე წვრილმანი ნაკლიც კი, უყვარდეს თავისი სკოლა, ზრუნავდეს მისი სახელისათვის.

მასწავლებელი სკოლის ცენტრალური ფიგურაა. პარტიამ და ხელისუფლებამ მას მიანდეს მომავალი თაობის აღზრდა. იგი საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემითაა გარემოსილი. მასწავლებელთა უნარზეა უმთავრესად დამოკიდებული სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის მაღალ დონეზე დაყენება. ამიტომ კომკავშირული ორგანიზაცია თვალისჩინივით უნდა უფრთხილდებოდეს მასწავლებლის ავტორიტეტს, ყოველთვის გვერდში ედგეს მას, იყოს მისი მებრძოლი თანაშემწე და დამხმარე.

ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოები, კომკავშირის რაიკომები ვალდებული არიან ყოველდღიურად, ოპერატიულად ხელმძღვანელობდნენ სასკოლო კომკავშირულ ორგანიზაციებს. ხელმძღვანელი კომკავშირული მუშაკები სისტემატურად უნდა დადიოდნენ სკოლაში, ადგილზე ეხმარებოდნენ კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს მუშაობის გაუმჯობესებაში.

სკოლის კომკავშირის პირდაპირი მოვალეობაა ხელმძღვანელობდეს და ეხმარებოდეს პიონერულ ორგანიზაციას. მან საქმე ისე უნდა მოაწყოს, რომ პიონერული ორგანიზაციები ცოცხალი, მჩქეფარე მუშაობით ცხოვრობდნენ, რაზმის შეკრებანი საინტერესოდ, შინაარსიანად ეწყობოდეს. ეს შეკრებანი ღრმად უნდა უნერგავდნენ პიონერებს საბჭოთა სამშობლოსადმი სიყვარულს და მტრისადმი მრისხანე სიძულვილის გრძნობას, რაზმავდეს მათ ფრიადზე სწავლისათვის.

სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობა მარტო სკოლის კედლებით როდი იფარგლება. არანაკლებ მნიშვნელოვანია სკოლის გარეშე მუშაობა. კომკავშირი ბავშვთა შორის უნდა მუშაობდეს ყველგან — ყოველ სახლსა და ეზოში, კინოსა და თეატრში, ბაღებსა და პარკებში.

ამჟამად საქართველოში ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოების ანგარიშგება და არჩევნები მიმდინარეობს. კომკავშირის საანგარიშო-საარჩევნო კრებების, რაიონული კონფერენციების მიერ მიღებულ ღონისძიებებში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს სკოლაში კომკავშირის მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს.

გავაუმჯობესოთ კომკავშირის მუშაობა სკოლაში, მივაღწიოთ იმას, რომ ყველა სასკოლო კომკავშირული ორგანიზაცია ნამდვილად იყოს სკოლის დირექტორისა და მასწავლებლის დამხმარე მომავალი თაობის აღზრდის საქმეში, მათთან მხარდამხარ იბრძოდეს დიადი სტალინური ეპოქის ღირსეული მოქალაქეების აღზრდისათვის.

მოსკოვს ჩამოვიდა უნგრეთის დელეგაცია დროებითი ზავის თაობაზე მოლაპარაკების საწარმოებლად

დროებითი ზავის დასადებად მოლაპარაკებისათვის მოსკოვს ჩამოვიდა უნგრეთის დროებითი ნაციონალური მთავრობის დელეგაცია, რომელშიც შედიან: საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი იანოშ დიენდეში, დელეგაციის თავმჯდომარე; თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი იანოშ ვერეში და მინისტრთა კაბინეტის სტატს-მდივანი ბ-ნი იშტვან ბალოგი.

კიევის ვაგზალზე დელეგაციას შეხვდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ვ. გ. დეკანოზოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ფ. ფ. მოლოჩკოვი და თავდაცვის სახალხო კომისარიატის საგარეო ურთიერთობის განყოფილების უფროსი გენერალ-მაიორი მ. პ. კუტუზოვი.

საქართველოს სს რესპუბლიკამ ციტრუსთა ნაყოფის დამზადების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა

საქართველოს ხს რესპუბლიკაში ციტრუსთა ნაყოფის დამზადების გეგმა 1945 წლის 1 იანვრისათვის შესრულებულია 102,3 პროცენტით,—გეგმით გათვალისწინებული 400.000.000 ცალი ნაყოფის ნაცვლად დამზადებულია 409.305.700 ცალი. დამზადება გრძელდება.

გერმანელთა მონობიდან განთავისუფლებული ბავშვები

უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებული რაიონებიდან ორიოლში ჩამოვიდა დიდი ჯგუფი საბჭოთა ბავშვებისა, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში გერმანელთა მონობაში იმყოფებოდნენ.

ყველა ბავშვი მოთავსებულია ორიოლის ოლქის საბავშვო სახლებში. აქ მათთვის კეთდება ყველაფერი, რომ ისინი რაც შეიძლება მალე გამოჯანსაღდნენ. ახალ წელს, ისევე, როგორც ყველა საბჭოთა ბავშვი, ისინი შეხვდნენ საზეიმოდ მორთულ საახალწლო ნაძვის ხესთან. (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

1 იანვრის ოპერატიული ცნობა

1 იანვრის განმავლობაში **ჩეხოსლოვაკიის** ტერიტორიაზე ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ქალაქ **ლუჩენეცის** მიმართულებით უტევენ, ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები **ველიკიე დრავცე, ბოლკოვცე, ნიტრა, გალშა, ტერბელოვცე, მიკუშოვცე** (სამ კილომეტრზე **ლუჩენეცის** სამხრეთით), **რაპოვცე, პანიცკე-დრავცე, ტერინჩი, ბუშინცე, მალიე ზლევცე, მალიე** და **ველიკიე სტრაცინი, კლაპტინცე** და რკინიგზის სადგური **რაპოვცე**. 31 დეკემბრის ბრძოლებში ამ რაიონში ჩვენმა ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს 515 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ბუდაპეშტის რაიონში ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც განაგრძობენ ბრძოლებს ქალაქში გარშემორტყმული მოწინააღმდეგის დაჯგუფების მოსასპობად, დაიკავეს 200-ზე მეტი უბანი და რკინიგზის სადგური **რაკოში** ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

31 დეკემბერს ჩვენმა ჯარებმა დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 48 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 4 თვითმფრინავი.

2 იანვრის ოპერატიული ცნობა

2 იანვრის განმავლობაში **ბუდაპეშტის** რაიონში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტრის გარშემორტყმული დაჯგუფების მოსასპობად და დაიკავეს 232 უბანი ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში და 63 უბანი დასავლეთ ნაწილში.

ქალაქ **კომარნოს** სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მტრის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების იერიშებს და დიდი ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

1 იანვარს ჩვენმა ჯარებმა დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 19 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 4 თვითმფრინავი.

⁂

ბუდაპეშტის რაიონში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების ლიკვიდაციისათვის. ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში საბჭოთა მოიერიშე ჯგუფები ახშობენ მტრის თავდაცვის კვანძებს და ზედიზედ სწმენდენ უბნებს გერმანელებისაგან. გააფთრებული შეტაკებანი სწარმოებს გამაგრებულ სახლებში, ეზოებსა და სარდაფებში. დღის განმავლობაში ჩვენმა ნაწილებმა ბრძოლებით დაიკავეს 232 უბანი, ტყვედ წამოყვანილია 1.000-ზე მეტი გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ბუდაპეშტის დასავლეთ ნაწილში გერმანელთა ქვეითი ჯარი, ტანკებითა და თვითმავალი ქვემეხებით გაძლიერებული, უშედეგოდ ცდილობდა დაებრუნებინა წინადღით დაკარგული პოზიციები. საბჭოთა ნაწილებმა მოიგერიეს ჰიტლერელთა ყველა კონტრიერიში და ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. ნ ნაწილის ქვეგანაყოფებმა, დღის განმავლობაში გაჟლიტეს 300 ჰიტლერელი, მოსპეს თვითმავალი ქვემეხი და 23 ტყვიამფრქვევი. გერმანელებს წაართვეს 9 ორთქლმავალი, 130 ვაგონი ტვირთიანად, ბევრი იარაღი და სხვადასხვა სამხედრო მასალა.

ქუჩებში გაჩაღებულ ბრძოლებში საბჭოთა მეომრები იჩენენ გმირობას და მაღალ სამხედრო ოსტატობას. ერთ რაიონში ქვიტკირის ღობეს უკან დადგმული გერმანელთა ტყვიამფრქვევები ძლიერი ცეცხლით გზას ულობავდნენ ჩვენს ქვეგანაყოფებს. რიგითი მებრძოლი როზანოვი პლასტუნურად მიხოხდა ღობესთან, სწრაფად გადახტა ზედ და ავტომატის ცეცხლით მოსპო მოწინააღმდეგის მეტყვიამფრქვევეთა გუნდები. სხვა მებრძოლებთან ერთად, რომლებიც მას მიეშველნენ, როზანოვი შეიჭრა სახლში და გაჟლიტა იქ მყოფი გერმანელები. სერჟანტმა მელფერმა შეამჩნია, რომ ათეულის მეთაური მწყობრიდან გამოვიდა. მელფერმა მოხერხებულად მოაწყო იერიში დიდი სახლის წინააღმდეგ. მისი ხელმძღვანელობით მებრძოლებმა მოსპეს 40 ჰიტლერელი, ხელთ იგდეს ხუთი დაზგის ტყვიამფრქვევი, ტანკსაწინააღმდეგო თოფი და ტყვედ წამოიყვანეს შვიდი გერმანელი. ათეულის მეთაური ლეიტენანტი შაუსტოვი და ეფრეიტორი კუტუევი შეუმჩნევლად მიეპარნენ სახლს, რომელშიც გერმანელები იყვნენ ჩასაფრებული და სარდაფს გრანატები დააყარეს. აფეთქებით მოსპობილ იქნა მოწინააღმდეგის რამდენიმე ტყვიამფრქვევი მათი გუნდებიანად.

* * *

ქალაქ კომარნოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მოწინააღმდეგემ თავი მოუყარა ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდ ძალებს და დღეს დილადრიან იერიში მიიტანა ჩვენს პოზიციებზე. ვიწრო უბანზე გერმანელებმა ბრძოლაში გამოიყვანეს ორი სატანკო დივიზია. საბჭოთა ქვეითები და არტილერისტები მოწინააღმდეგის იერიშებს იგერიებენ და მძიმე ზარალს აყენებენ მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. გერმანელთა ქვეითი ჯარის ბატალიონმა, რომელსაც 7 ტანკი ეხმარებოდა, იერიში მიიტანა გვარდიის უფროსი ლეიტენანტ კაპტუნის მსროლელთა ქვეგანაყოფზე. მტრის ქვეითი ჯარი ჩვენს წინა კიდეს რომ მიუახლოვდა, მას გამანადგურებელი ცეცხლით შეხვდნენ და გაჰფანტეს. გერმანელთა გამჭრიალი ტანკები მოსპეს არტილერისტებმა და ჯავშანსატეხველებმა. გვარდიის უმცროსი ლეიტენანტ ემელიანოვის თვითმავალი ქვემეხის ეკიპაჟმა დააზიანა გერმანელთა ტანკი „ვეფხვი“. გვარდიის უფროსი სერჟანტ სტოგნიევის ქვემეხის გუნდმა მტრის კონტრიერიშის მოგერიებისას თავისი ქვემეხი ღია პოზიციაზე გამოაგორა და ზუსტი ცეცხლით გაჟლიტა 60 გერმანელი ჯარისკაცი. გვარდიის უმცროსი ლეიტენანტ ივანოვის და მემიხნის გვარდიის უფროსი სერჟანტ ნიკოლაევის თვითმავალმა ქვემეხმა მოსპო გერმანელთა მსუბუქი მანქანა, რომელშიც ისხდნენ გერმანელი პოლკოვნიკი, მისი ადიუტანტი და შოფერი.

* * *

აღმოსავლეთ პრუსიაში ჩვენი ქვეითი ჯარის წვრილ-წვრილი ჯგუფები დაზვერვას აწარმოებდნენ და ერთ ასეულამდე ჰიტლერელი მოსპეს. მფრინავ-გამანადგურებელს საბჭოთა კავშირის გმირს გვარდიის კაპიტან გოლოვაჩოვს, რომელიც გერმანელთა თვითმფრინავ „იუნკერს-88“ მისდევდა, მთელი საომარი მასალა გამოელია. მაშინ გოლოვაჩოვი დაეწია მტრის თვითმფრინავს და ხრახნის დარტყმით მოჰკვეთა მას ბოლო. „იუნკერს-88“ მიწაზე დაენარცხა. საბჭოთა მფრინავმა უვნებლად დასვა თავისი თვითმფრინავი აეროდრომზე. ეს კაპიტან გოლოვაჩოვის უკვე მეოცე საჰაერო გამარჯვებაა.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ხომალდებმა ბალტიის ზღვაში ჩასძირეს მოწინააღმდეგის ტრანსპორტი 6 ათასი ტონა წყალწყვისა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მრავალშვილიანი დედებისათვის საპატიო წოდება „გმირი დედის“ მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ საპატიო წოდება „გმირი დედა“ და გადაეცეთ ორდენები „გმირი დედა“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც ათი და მეტი შვილი შობეს და აღზარდეს.

1. მართა ვასილის-ასულ **ანოშკინას**—დიასახლისს, ქალაქი უსტ-კამენოგორსკი, ყაზახეთის სს რესპუბლიკა.
2. ნატალია ფარსადანის-ასულ **ბალაევას** — დიასახლისს, ქალაქი სტალინირი, საქართველოს სს რესპუბლიკა.
3. პრასკოვია თევდორეს-ასულ **ბელოშჩენკოს** — დიასახლისს, უკრაინის სს რესპუბლიკის სტალინოს ოლქის ბუდიონის რაიონის № 8 შახტის დაბა.
4. ნუქთი ასლანის-ასულ **ბერაძეს** — დიასახლისს, აჭარის ასს რესპუბლიკის ქობულეთის რაიონის სოფელი ქაქუთი.
5. ნადეჟდა სერგის-ასულ **ბრუშჩენკოს** — დიასახლისს, უკრაინის სს რესპუბლიკის სტალინოს ოლქის ავდეევკის რაიონის ხუტორი ვესიოლი.
6. ქსენია სტეფანეს-ასულ **ვეკუას** — აფხაზეთის ასს რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
7. მარიამ ილარიონის-ასულ **ვასილიევას** — დიასახლისს, უკრაინის სს რესპუბლიკის სტალინოს ოლქის კიროვის რაიონის სადგ. რუტჩენკოვო.
8. ნიულფარ სამედინ ყზი **ჰაჯიევას**—დიასახლისს, ქალაქი აგდაში, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკა.
9. შირინ მემეთი ყზი **ზაალოვას** — აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის საბირაბადის რაიონის სოფელ ქიურსალის კოლმეურნეს.
10. ლუკერია პოტაპის-ასულ **იზბიტსკაიას**—ყაზახეთის სს რესპუბლიკის პავლოდარის ოლქის ციურუპინსკის რაიონის კოლმეურნეს.
11. ანა კირილეს-ასულ **კალაშნიკოვას** — დიასახლისს, ქალაქი ალმა-ატა, ყაზახეთის სს რესპუბლიკა.
12. აინე ყურბან ყზი **ყარაევას** — დიასახლისს, ქალაქი ბაქო, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკა.
13. მართა თევდორეს-ასულ **კამოსკას** — ბელორუსიის სს რესპუბლიკის ვიტებსკის ოლქის ბეშენკოვიჩის რაიონის სოფელ დრობიშევოს კოლმეურნეს.
14. ევგენია პეტრეს-ასულ **კუზმენკოს** — უკრაინის სს რესპუბლიკის კიროვოგრადის ოლქის ზლატოპოლსკის რაიონის სოფელ კაპიტანოვკის კოლმეურნეს.
15. ლიდია ვასილის-ასულ **მალოშენკოს** — ბელორუსიის სს რესპუბლიკის ვიტებსკის ოლქის ვიტებსკის რაიონის კოლმეურნეობა „მოლოტის“ წევრს.
16. ევდოკია ტიხონის-ასულ **მიხაილოვას**—უკრაინის სს რესპუბლიკის ზაპოროჟიეს ოლქის პრიაზოვსკი რაიონის კოლმეურნეობა „პობედა კომინტერნას“ წევრს.
17. დომნა ვასილის-ასულ **მოსკალჩუკს** — უკრაინის სს რესპუბლიკის კიროვოგრადის ოლქის როვნოს რაიონის სოფელ მოზალეევკის კოლმეურნეს.
18. ვერა სოლომონის-ასულ **მუნჯიშვილს**— დიასახლისს, საქართველოს სს რესპუბლიკის გორის რაიონის სოფელი კარალეთი.
19. ანასტასია ევნატეს-ასულ **ნოვიკოვას** — დიასახლისს, ქალაქი სტალინო, უკრაინის სს რესპუბლიკა.
20. სტეპანიდა სერგის-ასულ **პალკინას** — პენსიონერს, ქალაქი კიევი, უკრაინის სს რესპუბლიკა.
21. ეფროსინე პავლეს-ასულ **პანოვას** — რსფს რესპუბლიკის მოსკოვის ოლქის კრასნოგორსკის რაიონის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
22. ანა დენისის-ასულ **პაჩოსს** — უკრაინის სს რესპუბლიკის ვინიცის ოლქის რემიროვის რაიონის სოფელ მარიანოვკის კოლმეურნეს.
23. სოფიო გიორგის-ასულ **სეკაშვილს** — დიასახლისს, საქართველოს სს რესპუბლიკის გორის რაიონის სოფელი მიწკარი.
24. სტეპანიდა სერგის-ასულ **სტაროსტინას**—ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკის კომსომოლსკის რაიონის კოლმეურნეობა „პროლეტარის“ წევრს.
25. ქრისტინე ლუკას-ასულ **სლეპცოვას** — ბელორუსიის სს რესპუბლიკის ვიტებსკის ოლქის დუბროვსკის რაიონის სოფელ ნოვაია გონჩარკის კოლმეურნეს.
26. მატრონა იაგორის-ასულ **ტარასოვას** — დიასახლისს, ქალაქ მოსკოვის კუიბიშევის რაიონი.
27. ანა სიმონის-ასულ **ტკაჩენკოს** — დიასახლისს, ქალაქი ენგელსი, რსფს რესპუბლიკის სარატოვის ოლქი.
28. ალექსანდრა ალექსის-ასულ **ტიაგუნოვას** — რსფს რესპუბლიკის რიაზანის ოლქის ბოლშოე-კოროვინოს რაიონის კოლმეურნეობა „ვერნი პუტის“ წევრს.
29. ბარბალე ივანეს-ასულ **შევჩენკოს** — დიასახლისს, უკრაინის სს რესპუბლიკის სტალინოს ოლქის სოფელი კალინოვო.
30. ალიხონ **შოიმოვას** — ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის კურგან-ტიუბეს ოლქის ოქტიაბრსკი რაიონის კოლმეურნეობა „ყზილ გულის“ წევრს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.
მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 28 დეკემბერი.

1945

ჩვენ მხურვალედ მივესალმებით ახალ, 1945 წელს. ეჭვი არ არის, რომ იგი ისტორიული წელი იქნება. ჩვენ მისგან მოველით ჰიტლერულ გერმანიასთან ომის ძლევამოსილად დამთავრებას და მშვიდობიანობის ახალი, ხანგრძლივი ეპოქის დაწყებას.

მშვიდობიანობამდე კაცობრიობას გასავლელი აქვს გზის შედარებით მცირე უბანი, მაგრამ ეს ძნელი უბანია. ამხანაგი სტალინი გვაფრთხილებდა უზრუნველობის წინააღმდეგ. იგი ამბობდა, რომ დაჭრილი ფაშისტი მხეცის თავისსავე ბუნაგში მოსპობის ამოცანა „უფრო ძნელ საქმეს წარმოადგენს, ვიდრე გერმანელთა ჯარების განდევნა საბჭოთა კავშირის ფარგლებიდან“. დაჭრილი მხეცი, რომელიც თავის ბუნაგში მიძვრება, კვლავ საშიში მხეცია.

ჰიტლერული გერმანიის მდგომარეობა უიმედოა. მაგრამ რაც უფრო ვიწროვდება გარშემორტყმის რკალი, მით უფრო გააფთრებული ხდება ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგობა. არ არსებობს ისეთი საზიზღრობა, რომელსაც მოერიდონ ჰიტლერელი ბანდიტები თავიანთი დაღუპვის ჟამის გადასადებად. გასული წლის დასასრული მათ უმაგალითო ბოროტმოქმედებით წაბილწეს. საბჭოთა პარლამენტიორების დახოცვა თავისთავად მოწმობს, რომ ფაშიზმი შეუთავსებელია კაცობრიობის სიცოცხლესა და განვითარებასთან. ჰიტლერელებთან არ შეიძლება მოლაპარაკება,—მათთან არც ლაპარაკი შეიძლება. მათ მიმართ შეიძლება მხოლოდ ერთი ენა გამოვიყენოთ—ტყვიისა და სახრჩობელის ენა.

ჩვენი სამშობლოს უშიშროება რომ უზრუნველვყოთ, ფაშისტი ცოფიანი ძაღლებისაგან რომ დავიცვათ ჩვენი ბავშვების სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ამისათვის გვესაჭიროება სრული, გადამწყვეტი, საბოლოო გამარჯვება ყველა სახისა და ყველა ჯურის ფაშიზმზე. მხოლოდ ასეთ გამარჯვებას შეუძლია საფუძველი ჩაუყაროს ნამდვილ მშვიდობიანობას. გერმანელ ფაშისტ ბოროტმოქმედთ ვერავითარი ადვოკატები ვერ უშველიან. საბჭოთა ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ერთხელ და სამუდამოდ მოუღოს ბოლო დაუსჯელ ავაზაკობას ევროპაში. საბჭოთა ხალხს საკმარისი ძალაც მოეპოვება, რათა საქმედ აქციოს ეს თავისი გადაწყვეტილება. ფაშისტი დამრბეველებისაგან ევროპის ცივილიზაციის გადარჩენაშია საბჭოთა ხალხის ისტორიული როლი და დიდი დამსახურება. თავის ამოცანას საბჭოთა ხალხი ბოლომდე შეასრულებს.

საბჭოთა კავშირი გამარჯვებული გამოდის გიგანტური შეტაკებიდან, იმიტომ რომ მან შექმნა მძლავრი წითელი არმია. ჩვენი სახელმწიფო იშვა პირველი მსოფლიო ომის ქარ-ქუხილში. იგი ხალხების წინაშე წარსდგა, როგორც თავისუფალი შრომის და გულწრფელი მშვიდობისმოყვარეობის მაუწყებელი. მაგრამ ჩვენს ხალხს არც ერთი წუთით არ დავიწყებია ჩვენს დიად სამშობლოზე მტრის თავდასხმის საფრთხე და როცა ეს მრისხანე ჟამი დადგა, ჩვენ ჯეროვან სიმაღლეზე აღმოვჩნდით. ეს არის ჩვენი პარტიის, ამხანაგ სტალინის უკვდავი დამსახურება საბჭოთა ხალხის წინაშე. ჩვენ მზად აღმოვჩნდით, რომ წინააღმდეგობა გაგვეწია მოსისხლე მტრისათვის. ახლა კი მზადა ვართ იმისათვის, რომ სხვა თავისუფლებისმოყვარე ხალხებთან ერთად უზრუნველვყოთ მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობიანობა და თავიდან ავიცილოთ ახალი მსოფლიო ომის შესაძლებლობა.

ჩვენს მოკავშირეებთან ერთად ჩვენ წელს ბოლომდე მივიყვანთ ჰიტლერული გერმანიის განადგურების საქმეს. აღმოსავლეთში და დასავლეთში წითელი არმია და ჩვენი მოკავშირეების არმიები გერმანიის საზღვრებზე დგანან და საწყისი პოზიციები უკავიათ ჰიტლერული ციხის გადამწყვეტი იერიშისათვის. წითელმა არმიამ გადალახა ტრანსილვანიის ალპები და კარპატები და ძლევამოსილად ამთავრებს გერმანელ ფაშისტთა ჯარებისა და მათი დამქაშების წინააღმდეგ გიგანტურ ბრძოლას. საბჭოთა სარდლობამ განსაკუთრებული ბრწყინვალებითა და მხედრული ოსტატობით განახორციელა მოწინააღმდეგის ბუდაპეშტის დიდი დაჯგუფების გარშემორტყმის ფრიად რთული, უდიდესი მასშტაბის ოპერაცია. გერმანელები პირველხარისხოვან მნიშვნელობას აძლევდნენ და აძლევენ მათ მიერ ბუდაპეშტის პლაცდარმის შენარჩუნებას. აქ მათ დიდი ძალები გამოიყვანეს. ფაშისტი მხეცი კბილებით ებღაუჭება უნგრეთის დედაქალაქს, მას გათვალისწინებული აქვს, თუ რა სერიოზული შედეგები მოჰყვება ამ უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული რაიონის დაკარგვას. მაგრამ გერმანელებმა უკვე წააგეს ბრძოლა ბუდაპეშტისათვის. წითელი არმია გაანადგურებს და გასრესს მტერს, რა წინააღმდეგობაც უნდა გასწიოს მან.

ომის დასასრულს ჩვენი ქვეყანა უახლოვდება ახალი, ბრძოლებში გამოწრთობილი ძალით.

ჩვენი სახელმწიფო ახალგაზრდაა, ალსავსეა სასიცოცხლო ენერგიით, ინიციატივით. ჩვენს ხალხში არის შემოქმედებითი ძალების დაუშრეტელი წყაროები. ჩვენი მრავალეროვანი ქვეყანა მდიდარია ნიჭიერი ადამიანებით. ჩვენ ვიცით, რომ ომის შემდეგ ჩვენი ცხოვრება კიდევ უფრო ლამაზი იქნება, ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო შეძლებული იქნება, ვიდრე ომამდე იყო. ჩვენს სახელმწიფო მოღვაწეებს, ჩვენს სამეურნეო მუშაკებს არ სჭირდებათ თავი იტეხონ ომისშემდგომი, წინააღმდეგობრივ პრობლემებზე. არც ერთი საბჭოთა ადამიანის ოქრო ხელი უქმად არ დარჩება.

ჩვენ ვიმარჯვებთ და საბოლოოდ გავიმარჯვებთ წითელი არმიის ძალით, სოციალისტური მეურნეობის სიმძლავრით, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმით. ჩვენს ქვეყანას ჩვენი გმირული ბრძოლით მოვუპოვეთ მთელი დედამიწის მილიონობით მშრომელთა უდიდესი სიმპატიები. წითელი არმია უყვართ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, იმიტომ, რომ მრისხანე სამხედრო ძალას იგი აერთებს ნამდვილი მშვიდობიანობისა და თავისუფლებისმოყვარე ხალხთა მეგობრობის იდეოლოგიასთან. წითელ არმიას სიყვარულით მიესალმებიან ყველგან, სადაც იგი შედის, იმიტომ, რომ ტყვიით დაცხრილულს მის დროშებზე აღბეჭდილია ფაშისტური მონობისაგან ხალხების განთავისუფლების მოწოდებანი.

ჩვენ მივესალმებით ახალ წელს, იმიტომ, რომ მასთან ერთად მოდის გამარჯვებაც. ახალი წლის ზღურბლზე რწმენით ვუყურებთ მომავალს. ჩვენს ხალხს დიდი მომავალი აქვს. ჩვენ ვიცით, რომ მომავალი არა აქვს ჰიტლერულ გერმანიას,—ამიტომაც ასეთი შიშით ხვდებიან გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები ახალ წელს. ისინი არ მიესალმებიან მას. მათი სურვილია შეაჩერონ საათის ისარი და ჟამთა სრბოლა. მაგრამ ამას ვერ შესძლებენ.

მაშ კიდევ უფრო ძლიერად, კიდევ უფრო დაძაბულად ვიშრომოთ ახალ წელს, რათა დავაჩქაროთ მტერზე სრული გამარჯვება!

ღრმა მადლობით, გულწრფელი და გულითადი გრძნობით ულოცავს ჩვენი ქვეყანა თავის წითელ არმიას, ფრონტზე მყოფ თავის მამაც და გულად შვილებს, ულოცავს ზურგში მყოფ ყველა მშრომელს. ერთიან ოჯახად გრძნობს თავს ლენინ-სტალინის დიადი პარტიის მიერ დარაზმული ჩვენი ხალხი.

მოგილოცავთ ახალ წელს, ამხანაგებო!

„პრავდის“ 1 იანვრის მოწინავე

საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია პარიზში

პარიზი, 1 იანვარი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ საფრანგეთის შრომის მინისტრმა პაროდიმ შრომის სამინისტროში დარბაზობა გამართა პარიზში მყოფი საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციის პატივსაცემად.

სსრ კავშირის ელჩმა ბოგომოლოვმა დელეგაცია წარუდგინა მინისტრს.

დარბაზობას დაესწრნენ გენერალ დე გოლის პირადი კანცელარიის დირექტორი პალევსკი, საგარეო საქმეთა მინისტრი ბიდო, შინაგან საქმეთა მინისტრი ტიქსიე, სამრეწველო წარმოების მინისტრი ლაკოსტი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ბიუ, ავიაციის მინისტრი ტიონი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი მორის ტორეზი, საკონსულტაციო ასამბლეის შრომის კომისიის თავმჯდომარე კრუაზა და ამ კომისიის წევრები, აგრეთვე საფრანგეთის პროფკავშირული წრეების წარმომადგენლები.

შრომის მინისტრმა პაროდიმ მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა. საპასუხო სიტყვები წარმოსთქვეს სსრ კავშირის ელჩმა ამხ. ბოგომოლოვმა და საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციის თავმჯდომარემ ამხ. სოლოვიოვმა.

საბჭოთა პროფკავშირული დელეგაციის მიღება საფრანგეთის წინააღმდეგობის ნაციონალურ საბჭოში

პარიზი, 2 იანვარი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ გუშინ წინააღმდეგობის ნაციონალურმა საბჭომ მოაწყო მიღება საბჭოთა პროფკავშირული დელეგაციის პატივსაცემად. საბჭოს თავმჯდომარე ლუი საიანი დელეგაციის სახით მიესალმა სსრ კავშირის მშრომელებს.

საბჭოთა პროფკავშირული დელეგაციის მეთაური ამხ. სოლოვიოვი გამოვიდა ფრანგ პატრიოტთა მასებისადმი მიმართული მისალმებით და განაცხადა, რომ საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა ადამიანების, ამერიკელების, ინგლისელების, ფრანგების და ყველა მოკავშირეთა დაღვრილმა სისხლმა ხალხთა მეგობრობა განამტკიცა. ამ მეგობრობის გამოვლინებას წარმოადგენს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება, რაც ამას წინათ იქნა ხელმოწერილი. ამხ. სოლოვიოვმა სთქვა, საჭიროა მოვუწოდოთ საფრანგეთის ხალხს შეუერთოს თავისი ღონისძიებანი გაერთიანებულ ერთა ღონისძიებებს, რათა მალე და ძლევამოსილად დავამთავროთ ომიო.

საფრანგეთი ოფიციალურად შეუერთდა გაერთიანებული ერების დეკლარაციას

ლონდონი, 2 იანვარი. (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო ვაშინგტონიდან გადმოგვცემს, საფრანგეთის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ანრი ბონემ 1 იანვარს, გაერთიანებული ერების დეკლარაციის მესამე წლისთავის დღეს, საფრანგეთის სახელით ხელი მოაწერა ამ დეკლარაციას, რითაც საფრანგეთი გაერთიანებული ერების 36-ე წევრი გახდა.

გარდაიცვალა რომენ როლანი

პარიზი, 1 იანვარი. (საკდესი). პარიზის რადიო იუწყება, რომ 30 დეკემბერს ვეზელეიში (იონის დეპარტამენტი) თავის მამულში გარდაიცვალა ცნობილი ფრანგი მწერალი რომენ როლანი, რომელიც 79 წლისა იყო.

პოლონეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის შედგენა

ლიუბლინი, 1 იანვარი. (საკდესი). კრაიოვა რადა ნაროდოვას პრეზიდენტმა ბ. ბერუტმა პოლონეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის შედგენა მიანდო ედვარდ ოსუბკა-მორავსკის. უკანასკნელმა დროებითი მთავრობა შეადგინა. მთავრობაში შედიან:

პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ოსუბკა-მორავსკი, ვიცე-პრემიერ-მინისტრები—ვესლავი და იანუში, მიწათმოქმედებისა და აგრარული რეფორმის მინისტრი—ბერტოლდი, შინაგან საქმეთა მინისტრი—მასლიანკა, საზოგადოებრივი უშიშროების მინისტრი—რადკევიჩი, სახალხო განათლების მინისტრი—სკშეშევსკი, გზათა მინისტრი — რაბანოვსკი, ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი—კაპელინსკი, კულტურისა და ხელოვნების მინისტრი—რეუმოვსკი, მომარაგებისა და ვაჭრობის მინისტრი—პიოტროვსკი, ინფორმაციისა და პროპაგანდის მინისტრი — მატუშევსკი, მრეწველობის მინისტრი—მინცი, ნაციონალური თავდაცვის მინისტრი—გენერალ-პოლკოვნიკი როლია-ჟიმერსკი, იუსტიციის მინისტრი—ზალესკი, ფინანსთა მინისტრი—დომბროვსკი და შრომის, სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი — ტროიანოვსკი.

ამრიგად, მთავრობაში შედიან „სტრონიცტვო-ლიუდოვეს" პარტიის ხუთი წარმომადგენელი, პოლონეთის სოციალისტური პარტიის ხუთი წარმომადგენელი, პოლონეთის მუშათა პარტიის ოთხი წარმომადგენელი, „სტრონიცტვო-დემოკრატიჩნეს" პარტიის ერთი წარმომადგენელი და ორი უპარტიო (გენერალი როლია-ჟიმერსკი და გზათა მინისტრი რაბანოვსკი).

პოლონეთის დროებითი მთავრობის დეკლარაცია

ლიუბლინი, 2 იანვარი. (საკდესი). დღეს კრაიოვა რადა ნაროდოვას სესიის წინაშე სრული შემადგენლობით წარსდგა რადის 1944 წლის 31 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად შექმნილი დროებითი მთავრობა. რადის პრეზიდენტ ბერუტის მიერ რადის პლენარული სხდომის გახსნის შემდეგ პოლონეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოსუბკა-მორავსკიმ გამოაქვეყნა საპროგრამო დეკლარაცია, რომელშიც ნათქვამია:

„მოქალაქე დეპუტატებო! თქვენს წინაშე გამოვდივარ რესპუბლიკის დროებითი მთავრობის სახელით, რომელიც შექმნილია პოლონეთის განთავისუფლებულ მიწაზე 1921 წლის კანონიერი კონსტიტუციის პრინციპების შესაბამისად.

ვართ რა თანმიმდევარი და ჭეშმარიტი დემოკრატები, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მუდმივ მთავრობას შექმნის მთელი ხალხის მიერ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე არჩეული საკანონმდებლო სეიმი. ამ მთავრობას მისი შექმნის შემდეგ ჩვენ დაუყოვნებლივ გადავცემთ ძალაუფლებას.

მთელი ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების მომენტის მოახლოება, ჰიტლერულ გერმანიაზე საბოლოო გამარჯვების მომენტის მოახლოება ჩვენ დროებითი მთავრობის მთავარ ამოცანად მიგვაჩნია. მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რათა პოლონელი ხალხის მონაწილეობა ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში უაღრესად სრული იყოს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა განვავითაროთ პოლონეთის ჯარის — პოლონელი ხალხის სიამაყის შემდგომი მშენებლობა. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ფაშიზმის წინააღმდეგ მძლავრ წითელ არმიასთან მხარდამხარ ბრძოლაში ახალი დიდება მოვუპოვოთ პოლონეთის იარაღს. ჩვენ აგრეთვე დავეხმარებით ბრძოლის ორგანიზებაში ჩვენს გმირ პარტიზანებს, რომლებიც გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ვისლის გაღმა ეწევიან ბრძოლებს.

წითელი არმია, პოლონეთის ჯარი და პოლონელი პარტიზანები თავიანთი საერთო ღონისძიებებითა და თავიანთი სისხლით აახლოებენ მთელი ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების მომენტს. ეს მომენტი შორს აღარ არის".

ხაზი გაუსვა რა იმას, რომ მოკავშირეებმა გაუგეს პოლონეთს მოთხოვნები დასავლეთის საზღვრების საკითხში, პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ პოლონეთის ტერიტორიულმა მოთხოვნებმა დასავლეთში — პოლონეთისათვის მისი ძველთაძველი მიწების შეერთებამ ოდერზე, ვისლასა და ბალტიის ზღვაზე, — მოთხოვნებმა, რომლებიც უკვე დიდიხანია სწორად სცნო პოლონეთის დიდმა მოკავშირემ — საბჭოთა კავშირმა, აღიარება ჰპოვა აგრეთვე მოკავშირე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ჩერჩილის სიტყვაში.

ოსუბკა-მორავსკიმ აღნიშნა, რომ პოლონეთის ახალი მთავრობა ეყრდნობა ყველა დემოკრატიული პარტიის სრულ თანხმობას და რომ პოლონეთის დემოკრატიის შენარჩუნება მისი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იქნება.

ოსუბკა-მორავსკიმ მკაცრი ფორმით გაუსვა ხაზი ლონდონის ემიგრანტული ხროვის რეაქციულ ხასიათს.

ოსუბკა-მორავსკიმ აღნიშნა, რომ პოლონეთის ფაშისტებმა წააგეს კამპანია, რომელიც მიმართული იყო პოლონეთის არმიაში მობილიზაციისა და პოლონეთის სახელმწიფოს ცხოვრების აღსადგენი მუშაობის ჩაშლისადმი.

გადავიდა რა პოლონეთის საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ პოლონეთის მისწრაფება იქნება შემდგომ განამტკიცოს საბჭოთა კავშირთან გულითადი მეგობრობა. ამასთან ერთად მან აღნიშნა, რომ პოლონეთის მხურვალე მისწრაფებას წარმოადგენს მეგობრული განწყობილების განმტკიცება ინგლისისა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რომლებსაც ასეთი დიდი წილი შეაქვთ ჰიტლერული გერმანიის განადგურების საქმეში და რომლებიც საბჭოთა კავშირთან ერთად საფუძვლებს შეუქმნიან კოლექტიურ უშიშროებას, რომელიც დასახულია დუმბარტონ-ოქსის კონფერენციაზე და რომლის განხორციელებითაც პოლონეთი მთელი არსებით არის დაინტერესებული. ყველა პირობა არსებობს გაცხოველებული ეკონომიური და კულტურული ურთიერთობისათვის ეკონომიურად და პოლიტიკურად აღორძინებულ, მნიშვნელოვნად განმტკიცებულ პოლონეთსა და დიდ ანგლო-საქსურ ქვეყნებს შორის.

შემდეგ ოსუბკა-მორავსკიმ სთქვა: „ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენ ლიუბლინში მივიღეთ საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის წარმომადგენელი, და გვწამს, რომ მისი აქ ყოფნა ხელს შეუწყობს აღორძინებულ საფრანგეთსა და პოლონეთს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების საქმეს". პრემიერ-მინისტრმა აგრეთვე იმედი გამოსთქვა, რომ საუკეთესოდ მოეწყობა კეთილმეზობლური ურთიერთობა პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის, ვინაიდან ორივე ქვეყანას აერთიანებს გერმანიის აგრესიისაგან თავის დაცვის საერთო ინტერესები. პოლონეთი, სთქვა ოსუბკა-მორავსკიმ, მიისწრაფვის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისაკენ ყველა სხვა დემოკრატიულ ქვეყნებთან.

პრემიერ-მინისტრმა შემდეგ გააშუქა მთავრობის გეგმები სახელმწიფო ადმინისტრაციის, სამართლის წარმოების, განათლების, სოციალური უზრუნველყოფის დარგში და პირობა დასდო, რომ მთავრობა გააკეთებს ყველაფერს, რაც კი შესაძლებელია, მუშების, გლეხებისა და მშრომელი ინტელიგენციის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის უაღრესად ეფექტიური ზომების მიღების გზით. „ჩვენ გაბედულად ვუყურებთ ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფოს მომავალს", — დასასრულ განაცხადა ოსუბკა-მორავსკიმ.

მას სიტყვა არაერთხელ შეაწყვეტინეს ტაშით.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა პოლონეთის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალი გენერალ-პოლკოვნიკი როლია-ჟიმერსკი.

კრაიოვა რადა ნაროდოვას სესიის საღამოს სხდომაზე განცხადებით გამოვიდა პრემიერ-მინისტრი ოსუბკა-მორავსკი. განცხადებაში ნათქვამია:

„რეჩ პოსპოლიტას დროებითი მთავრობა აცხადებს ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოთა და ფიზიკურ პირთა საყურადღებოდ, რომ იგი, როგორც პოლონეთის ერთადერთი კანონიერი მთავრობა, რომელიც გამოხატავს პოლონეთის ხალხის ნებას და რომელიც ზიდავს გერმანელთა ოკუპაციაში დარჩენილი პოლონეთის ნაწილის განთავისუფლებისათვის ბრძოლის მთელ სიმძიმეს, არ სცნობს ლონდონში მყოფ პოლონეთის ემიგრანტულ მთავრობასთან დადებულ საფინანსო ოპერაციებსა და ვალდებულებებს".

დაიწყო კამათი ოსუბკა-მორავსკისა და როლია-ჟიმერსკის გამოსვლების გამო. გამოვიდნენ ყველა დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები. ყველა გამოსულმა დაამოწმა, რომ ახლად შექმნილი მთავრობა დემოკრატიული პარტიების სრულ მხარდაჭერას ჰპოვებს.

შემდეგ „სტრონიცტვო ლიუდოვეს" პარტიის სახელით გამოვიდა ქსენძი ბოროვეცი, რომელმაც წინადადება შეიტანა გაეგზავნოს მისალმება საბჭოთა კავშირის მარშალს ი. ბ. სტალინს. მის წინადადებას სესიის დეპუტატები უდიდესი მოწონებით შეხვდნენ.

სამამულო ომის სახელოვანი მეომარნი

შალვა კალანდარიშვილი

უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ **სტალინის** 1944 წლის 12 ივლისის ბრძანებაში ნათქვამია:

„ბალტიისპირეთის მე-2 ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ ნოვოსოკოლნიკის ჩრდილო-დასავლეთითა და დასავლეთით მდებარე რაიონიდან, გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა და შეტევითი ბრძოლების ორი დღის განმავლობაში წინ წაიწიეს 35 კილომეტრამდე, გარღვევა გააფართოვეს 150 კილომეტრამდე ფრონტით.

შეტევის მსვლელობაში ფრონტის ჯარებმა დაიკავეს ქალაქი და დიდი სარკინიგზო კვანძი იდრიცა—გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი პუნქტი და დაიკავეს 1000-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი..."

ასე როგორ აგვიწერს ამ ბრძოლებს მათი უშუალო მონაწილე ოფიცერი შალვა კალანდარიშვილი:

„9 ივლისს საღამოს მივიღეთ ბრძანება მეორე დღეს, 9 საათზე გადავსულიყავით შეტევაზე. სწრაფად შევუდექით სამზადისს. მე დამავალეს ჩემი მებრძოლებით გამერღვია 29 კილომეტრი სიგრძის ფრონტი. იმავე ღამეს ჩვენ ფარულად მივუახლოვდით მტერს 600 მეტრ მანძილზე და დავიკავეთ ხელსაყრელი პოზიციები. ჩვენს უკან დაიწყო არტილერია, ნაღმსატყორცნთა ბატარეები, მეტყვიამფრქვეველთა რაზმები და ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები.

მშვენიერი დღე გათენდა 10 ივლისს. სრულ 9 საათზე დაიწყო ჩვენი არტილერიის მძლავრი კანონადა. ჰაერში აიტყორცნა მტრის საცეცხლე წერტები, ტრანშეები, დანაღმული მინდვრები, მავთულღობურები. თავზარდაცემულმა გერმანელებმა იწყეს უკან დახევა. დადგა ჩვენი მოქმედების დროც. მამაცი ქვეითები სროლით და „ურას" ძახილით წავიდნენ წინ. ოფიცრები მათ წინ მიეუძღოდით.

ასე დაიწყო 10 ივლისს ბალტიისპირეთის მე-2 ფრონტის ჯარების შეტევა. ორი დღის განმავლობაში 35 კილომეტრი გავიარეთ. გერმანელები სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევდნენ, აფეთქებდნენ ხიდებს, ბომბავდნენ გზებს, მაგრამ ჩვენ ვერაფერი ვეღარ შეგვაჩერებდა. მარტო იმ ნაწილმა, რომელშიც მე ვიბრძვი, გაათავისუფლა 130 სოფელი. გამარჯვებულნი შევედით ქალაქ იდრიცაში".

ორი დღის ბრძოლებში კალანდარიშვილმა მოსპო 52 გერმანელი. შემდეგ იგი დაიჭრა. სანიტარმა იქვე შეუხვია ჭრილობა და მამაცმა ოფიცერმა კვლავ განაგრძო ბრძოლა.

14 ივლისს კალანდარიშვილმა ნაწილის მეთაურისაგან მიიღო ასეთი წერილი:

„ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში თქვენ გამოიჩინეთ გულადობა და გამბედაობა. მთავრობამ დიდად შეაფასა თქვენი მამაცური ბრძოლა. სარდლობა და პოლიტგანყოფილება გილოცავენ სამამულო ომის I ხარისხის ორდენით დაჯილდოებას და რწმენას გამოსთქვამენ, რომ თქვენ მომავალშიც არ დაიშურებთ ძალღონეს მტერზე საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად".

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენი ჯარები შევიდნენ მოძმე რესპუბლიკის ლიტვის ტერიტორიაზე. ამ ჯარებთან იყო შალვა კალანდარიშვილიც.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ამ ერთგულმა შვილმა სახელოვანი საბრძოლო გზა განვლო. იგი ანადგურებდა ფაშისტ დამპყრობლებს ყირიმში, იცავდა მშობლიურ კავკასიას, მონაწილეობდა კალინინის ოლქის განთავისუფლებაში. საბჭოთა ლიტვის ტერიტორიაზე მას გადაეცა მედალი „კავკასიის დაცვისათვის". აქვე მიიღო მან წითელი ვარსკვლავის ორდენი, რომლითაც იგი დაჯილდოებულ იქნა საბჭოთა ბალტიისპირეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში მამაცობის გამოჩენისათვის.

შალვა კირილეს-ძე კალანდარიშვილი დაიბადა 1902 წელს მახარაძის რაიონის სოფელ ჩოჩხათში. საშუალო სასწავლებელი დაამთავრა ფოთში. 1922-დან 1931 წლამდე მუშაობდა მასწავლებლად ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონებში. 1936 წელს დაამთავრა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტი. შემდეგ შევიდა ასპირანტად. ომამდე კითხულობდა ლექციებს ლენინიზმსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიაში კიროვის სახელობის ინდუსტრიულ ინსტიტუტში. შალვა კალანდარიშვილი პარტიის წევრია 1928 წლიდან.

მამაცი ოფიცერი შალვა კალანდარიშვილი ახლაც ანადგურებს მტერს მისსავე ტერიტორიაზე.

ნინო მუშელიძე

შოთა ნადარეიშვილი

ცხარე ბრძოლები სწარმოებდა კალაპატკის რაიონში. მტერი აქ ცდილობდა წინ წამოწევას. ჩვენი მამაცი მებრძოლები უმკლავდებოდნენ გერმანელთა შეჯავშნულ ურდოებს, ანადგურებდნენ მის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას.

ლეიტენანტ შოთა ნადარეიშვილის მეტყვიამფრქვეველთა ოცეულს მიეცა დავალება უკუექცია კონტრიერიშზე გადმოსული ასეულამდე ჰიტლერელი.

ნადარეიშვილმა მოხერხებულად ჩაასაფრა თავისი ოცეული და, როდესაც ჰიტლერელებმა სცადეს იერიშზე გადმოსვლა, ტყვიამფრქვევთა ისეთი ძლიერი ცეცხლი შეაგება, რომ მტერმა ვერ შესძლო ერთი ნაბიჯითაც წინ წამოწევა. ფაშისტთა უმრავლესობა ბრძოლის ველზე დარჩა, ხოლო დანარჩენები სწრაფად უკუიქცნენ.

ქერჩში ბრძოლების დროს იყო ასეთი შემთხვევა: ჰიტლერელებმა შეამჩნიეს ნადარეიშვილის მებრძოლების ადგილსამყოფელი და საშინელი ცეცხლი დააყარეს. მაგრამ ახალგაზრდა ოფიცერი არ დაიბნა, მტრის ცეცხლს ჯერ დუმილით უპასუხა, ხოლო, როდესაც გერმანელები იერიშზე გადმოვიდნენ და მოახლოვდნენ, ტყვიამფრქვევთა ცეცხლით ცელვა დაუწყო.

სოფელ ბაკანსკთან ბრძოლების დროს მტრის ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი გადმოვიდა კონტრიერიშზე. ნადარეიშვილს დავალებული ჰქონდა არ მიეცა მათთვის წინ წამოწევის საშუალება. ბრძოლაში დაიჭრა მეტყვიამფრქვევე გაფრინდაშვილი. მაშინ ნადარეიშვილი თვითონ მოუჯდა ტყვიამფრქვევს და დაიწყო ჰიტლერელების ჟლეტა. ნადარეიშვილი დაიჭრა ხელში, მაგრამ მაინც განაგრძობდა სროლას. ამ ბრძოლის შედეგად ნადარეიშვილის ოცეულმა სასტიკად დაამარცხა ჰიტლერელთა ორი ასეული.

შოთა მელიტონის-ძე ნადარეიშვილი 22 წლისაა. სამამულო ომის პირველსავე თვეებში მან დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი და მას შემდეგ ფრონტზე იმყოფება. მან თავის დივიზიასთან ერთად განვლო ძნელი საბრძოლო გზა კავკასიის მისადგომებიდან ქალაქ სევასტოპოლამდე. იყო იმათ რიცხვში, ვინც გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან გაათავისუფლა გმირი ქალაქი სევასტოპოლი.

ლეიტენანტი შოთა ნადარეიშვილი დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით, მედლებით „საბრძოლო დამსახურებისათვის" და „კავკასიის დაცვისათვის".

სამამულო ომის ფრონტზე შოთა ნადარეიშვილის კიდევ სამი ძმა იბრძვის: უფროსი ლეიტენანტი გიორგი ნადარეიშვილი ვარშავის გარეუბნის—პრაღისათვის ბრძოლების მონაწილეა, სამხედრო ინჟინერი ირაკლი ნადარეიშვილი საბჭოთა ლიტვას ათავისუფლებდა, ხოლო ლეიტენანტი კოტე ნადარეიშვილი უნგრეთში იბრძვის.

შ. ლონლაძე

მოქმედი არმია

ახალი წელი, ახალი ამოცანები

დიდმა ბელადმა ამხანაგმა **სტალინმა** თავის გენიალურ საოქტომბრო მოხსენებაში აღნიშნა:

„თუ წითელმა არმიამ შესძლო წარმატებით შეესრულებინა თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე და განედევნა გერმანელები საბჭოთა მიწა-წყლის ფარგლებიდან, ეს მან იმის მეოხებით განახორციელა, რომ მას თავდადებულად ეხმარებოდა ზურგიდან მთელი ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი".

დიდი სტალინის მოხსენებამ და წითელი არმიის ისტორიულმა გამარჯვებებმა ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვიეს ჩვენი ქვეყნის მშრომელებში. კიდევ უფრო გაძლიერდა ფრონტისადმი დახმარება გერმანელ ფაშისტ ავაზაკთა სრული განადგურების დასაჩქარებლად.

გორის რაიონის მშრომელები ომის მეოთხე წელსაც თავდადებით იბრძოდნენ პარტიისა და მთავრობის, დიდი სტალინის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. რაიონმა 1944 წლის ყველა გეგმა ძირითადად მთლიანად და ზოგ შემთხვევაში გადაჭარბებით შეასრულა.

კოლმეურნეობებმა დაწესებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩაატარეს საგაზაფხულო თესვა. ისინი საუკეთესოდ მოემზადნენ თავთავიანი კულტურების მოსავლის ასაღებად. მოსავალი აღებულ იქნა შემჭიდროებულ ვადაში — 8-12 დღეში. წინასწარი ცნობებით, მოსავლიანობის სახელმწიფო გეგმა რაიონში 100 პროცენტით არის შესრულებული. საუკეთესოდ მოვლის შედეგად რაიონის კოლმეურნეობებმა 1944 წელს სიმინდის უხვი მოსავალი მიიღეს. კოლმეურნეობა „წითელმა თორტიზამ", რომლის თავმჯდომარეა ორდენოსანი ს. ბერძენიშვილი, საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე, ნაცვლად 12,5 ცენტნერისა, მოიწია 29 ცენტნერი სიმინდი. კოლმეურნეებმა შრომადღეზე 11,5 კილოგრამი სიმინდი მიიღეს. სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. ჯანიზაშვილი) ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 28 ცენტნერი სიმინდი და შრომადღეზე ავანსად გასცა 4,5 კილოგრამი. ასეთივე მაღალი მოსავალი მოიყვანეს სოფელ ახალუბნის (თავმჯდომარე ამხ. გეურქოვი), ქერეს (ამხ. ჯაბაური), ოხერას (ამხ. ანასტასოვი), ახალშენის (ამხ. გუცაშვილი), ზერტის (ამხ. ორჯონიკიძე), ნაწრეტის (ამხ. ბალიაშვილი) კოლმეურნეობებმა.

1944 წელს დიდი მუშაობა ჩატარდა შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გადიდებისათვის. შაქრის ჭარხლის ჩაბარების გეგმა კოლმეურნეობებმა 123,7 პროცენტით შეასრულეს,—ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 140 ცენტნერისა, ჰექტარზე მოყვანილია 177 ცენტნერი.

სოფელ ქვემო ნიქოზის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. საძაგლიშვილი) საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე მიიღო 456 ცენტნერი ჭარხალი, სოფელ ქერეს კოლმეურნეობამ (ამხ. ჯაბაური) — 442 ცენტნერი. ასეთივე მაღალი მოსავალი მიიღეს სოფელ ქვემო ხვეის (თავმჯდომარე მაისურაძე), ქვემო ახალსოფლის (ამხ. გვერდწითელი), ვარიანის (ამხ. კოლოტაშვილი), ხიდისთავის (ამხ. ნანიკაშვილი), ქახერლის (ამხ. ქოიავა) კოლმეურნეობებმა. განსაკუთრებით მაღალი მოსავალი მოიყვანა სოფელ ქერეს კოლმეურნეობის ბრიგადირმა ი. ელიკაშვილმა. თავის ბრიგადაში მან მიიღო 790 ცენტნერი ჭარხალი. სოფელ ქვემო ნიქოზის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ა. ზუბაშვილმა თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 720 ცენტნერი ჭარხალი.

ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენებისა და ბრძანების განხილვამ გორის რაიონის მშრომელებში უდიდესი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. მუშებმა, კოლმეურნეებმა და ინტელიგენციამ კიდევ უფრო გააძლიერეს ფრონტისადმი დახმარება. საშემოდგომო სამუშაოები წარმატებით შესრულდა. რაიონში გეგმის გადაჭარბებით დათესილია 711 ჰექტარი.

გადაჭარბებით შეასრულეს სატრაქტორო სამუშაოების წლიური გეგმები გორის, ახალსოფლისა და შინდისის მტს-ებმა. გორის მტს-მა (დირექტორი ამხ. ტლაშაძე) წლიური გეგმა 112 პროცენტით შეასრულა, ახალსოფლის მტს-მა (დირექტორი ამხ. აბალაკი) — 103,5 პროცენტით. მეოთხე კვარტალში წარმატებით მიმდინარეობდა ტრაქტორების რემონტი. გორის მტს-მა 7-ის მაგიერ 9 ტრაქტორი შეაკეთა, ხოლო ახალსოფლის მტს-მა—11-ის ნაცვლად 14.

1944 წელს დიდი მუშაობა ჩატარდა ხეხილის ბაღებში, მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

რაიონის მშრომელები [illegible] ხავს. კვირეულის ჩატარებისას კოლმეურნეებმა სამშობლოს დამცველთა ოჯახების დასახმარებლად შეაგროვეს 121,236 კილოგრამი მარცვლეული, 21,811 კილოგრამი ხილი, 83,804 კილოგრამი ბოსტნეული, 10,638 კილოგრამი კარტოფილი, 15,059 კილოგრამი ლობიო და სხვა პროდუქტები. ამ პროდუქტებით დახმარება აღმოეჩინა 3,000-მდე ოჯახს. გარდა ამისა, საცხოვრებელი ბინები შეუკეთდა 60-მდე ოჯახს.

სერიოზული მუშაობა ჩატარდა მეცხოველეობის განვითარებისათვის. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმა შესრულებულია 102,5 პროცენტით, ცხენისა — 100,3, ცხვრისა და თხის — 106, ღორისა — 102 პროცენტით. რაიონის კოლმეურნეობებმა პირნათლად მოიხადეს ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და ფულადი გადასახადების შესატანთა ხაზით.

რაიონში უდიდესი წარმატებით გავრცელდა მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხი 18 მილიონი მანეთის რაოდენობით. ფულისა და ნივთების მეოთხე ლატარიის ბილეთებზე კოლმეურნეებმა ხელი მოაწერეს 5,679,800 მანეთის რაოდენობით და ეს თანხა ხელისმოწერისთანავე შეიტანეს.

კოლმეურნეებთან ერთად დაუღალავად მუშაობენ ქალაქის მშრომელები. ისინი დიდი ენტუზიაზმით ღებულობენ მონაწილეობას საბჭოთა ზურგის ყოველმხრივი განმტკიცებისა და ფრონტისადმი დახმარების გაძლიერების საქმეში. მეომრული თავდადებით იბრძვის კამოს სახელობის გორის საკონსერვო ქარხნის მუშაკთა კოლექტივი (დირექტორი ამხ. საყვარელიძე, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ნინუა), რომელმაც წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. დეკემბრის გეგმა კი შესრულებულია 250 პროცენტით. ასევე წარმატებით მუშაობს რკინიგზის გორის სადგურის კოლექტივი.

ახალი წელი ახალ ამოცანებს აყენებს ჩვენს წინაშე. საყვარელმა ბელადმა დიდმა მარშალმა ამხანაგმა სტალინმა თავის საოქტომბრო მოხსენებაში გენიალურად განსაზღვრა საბჭოთა ხალხის ამოცანები. ამხანაგმა სტალინმა სთქვა: „ამიერიდან და სამუდამოდ ჩვენი მიწა-წყალი თავისუფალია ჰიტლერული სიბილწისაგან. ახლა წითელ არმიას რჩება თავისი უკანასკნელი, საბოლოო მისია: ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად დაამთავროს გერმანელ ფაშისტთა არმიის განადგურების საქმე, მოსპოს ფაშისტი მხეცი მის საკუთარ ბუნაგში და გამარჯვების დროშა აღმართოს ბერლინში".

ბელადის დავალების შესრულებისათვის მზად არის ჩვენი წითელი არმია, მთელი საბჭოთა ხალხი.

ამ დიდი ისტორიული საქმისათვის გორის რაიონის მშრომელები ყველაფერს აკეთებენ.

რა ამოცანები დგას ჩვენს წინაშე 1945 წლისათვის?

კოლმეურნეობებმა უპირველეს ყოვლისა სწრაფად უნდა დაამთავრონ წლიური ანგარიშებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენა და განხილვა საერთო კრებებზე. აქედანვე უნდა გაიშალოს მუშაობა საგაზაფხულო თესვისათვის მოსამზადებლად. თესლით უზრუნველყოფა, პირუტყვის კარგად გამოზამთრება, ტრაქტორებისა და მანქანა-იარაღების დროული, მაღალხარისხოვანი შეკეთება, საკოლმეურნეო შრომის სწორი ორგანიზაცია, — ასეთია საგაზაფხულო თესვისათვის მზადების მთავარი საკითხები. 1945 წელს უნდა მოვიყვანოთ უხვი მოსავალი, გავადიდოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადება.

ამ ამოცანებს ჩვენ მით უფრო წარმატებით შევასრულებთ, რაც უფრო ღრმად და საფუძვლიანად შევისწავლით დიდი **სტალინის** ისტორიულ ნაშრომს.

გორის რაიონის მშრომელები 1945 წელს კიდევ უფრო განამტკიცებენ დისციპლინას, აამაღლებენ შრომის ნაყოფიერებას, მეტ პროდუქციას მისცემენ ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას, რათა წითელმა არმიამ დიდი **სტალინის** ბრძნული მხედართმთავრობით მალე მოუღოს ბოლო ფაშისტ მხეცს მისსავე საკუთარ ბუნაგში.

ბ. მიხანაშვილი

საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანი.

საახალწლო ნაძვის ხე კავშირების სახლში

28 დეკემბერს, მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში მოაწყეს ტრადიციული საახალწლო ნაძვის ხე. თავი მოიყარა ორი ათასამდე ბავშვმა. მდიდრულად და საინტერესოდ არის მორთული დარბაზები—ფოიე. ისინი მორთული არიან წელიწადის ოთხი დროს ფერებით—ოქროს შემოდგომა, ნაზი—მწვანე გაზაფხული, ნარინჯის ზაფხული და თეთრი მოელვარე ზამთარი. კედლები მორთულია დიდ რუს სარდალთა, სამამულო ომის გმირთა, მოგზაურთა და მეცნიერთა პორტრეტებით. აქ ბევრი რამ არის სახალისო და საინტერესო. შეიძლება კარუსელით და საქანელათი ქანაობა, თვალის სიმახვილის გამოცდა ტირში, რკინიგზელთა კულტურის სახლის ანსამბლის აკრობატთა ჯგუფის ვარჯიშობის ნახვა და სხვ.

საახალწლო ნაძვის ხის დღესასწაული გაგრძელდება 20 იანვრამდე. ამ ხნის განმავლობაში აქ დღესასწაულს დაესწრება 140 ათასი ბავშვი და მოზარდი.

29 დეკემბერი. (საკდესი).

ახალი ხიდი დნეპრზე

სმოლენსკში დამთავრდა ახალი ხიდის მშენებლობა დნეპრზე. გერმანელი ოკუპანტების მიერ ქალაქის ზემო ნაწილსა და დნეპრგაღმა რაიონს შორის დარღვეული კავშირი მთლიანად აღდგენილია. (საკდესი).

დიპლომებისა და ატესტატების გადაცემა მეცნიერ მუშაკთათვის

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის უმაღლესი საატესტაციო კომისია იწყებს დიპლომების გადაცემას მეცნიერებათა დოქტორისა და კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირთათვის. მეცნიერ მუშაკებს, რომლებსაც სამეცნიერო წოდება აქვთ, გადაეცემათ ატესტატები. დიპლომებისა და ატესტატების გადაცემა დოქტორების, პროფესორების, დოცენტებისა და უფროს მეცნიერ თანამშრომელთათვის სწარმოებს მათი მუშაობის ადგილზე, ხოლო მეცნიერებათა კანდიდატებისათვის — დისერტაციის დაცვის ადგილზე.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ სამეცნიერო ხარისხებსა და წოდებებს ანიჭებდნენ სახალხო კომისარიატებისა და უწყებების საკვალიფიკაციო კომისიები. დიპლომებისა და ატესტატების გადაცემა საშუალებას მოგვცემს პირველად დავადგინოთ მეცნიერ მუშაკების ერთიანი აღრიცხვა.

უმაღლეს საატესტაციო კომისიაში არსებული ცნობებით, მარტო 1944 წელს მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა 520 პირს, მეცნიერებათა კანდიდატისა—დაახლოებით 3,000-ს. 320 მეცნიერმა მუშაკმა მიიღო პროფესორის წოდება, 850-მა — დოცენტისა. (საკდესი).

ციტრუსების დამზადების გეგმის შესრულება

ფოთის რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების წლიური გეგმა. 2,730 ათასი ცალის ნაცვლად დამზადებულია 2,749 ათასი ცალი ნაყოფი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანი **კოკაია**

გეგმების შესრულება

მაიაკოვსკის რაიონმა 30 დეკემბრისათვის შეასრულა სახელმწიფო დამზადებათა გეგმები. ხორცის დამზადების გეგმა შესრულებულია 100,3 პროცენტით, რძის—100 პროცენტით, მატყლის—100 პროცენტით, კვერცხის—100 პროცენტით, თივის—119,3 პროცენტით, სოიის—107,2 პროცენტით, ყურძნის—100,2 პროცენტით და ტყაპ-ნედლეულის—100 პროცენტით. 1945 წლის დამზადების ანგარიშში რაიონმა ჩააბარა 214 ცენტნერი ხორცი.

საქართველოს კ. პ. (ბ) მაიაკოვსკის რაიკომის მდივანი **ვ. ნანიტაშვილი**

მაიაკოვსკის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ტ. ენდელაძე**

• • •

დუშეთის რაიონმა სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების გეგმა შეასრულა 103 პროცენტით, [illegible] 104 [illegible] ყველის, [illegible] სახის [illegible] ბოსტნეულის [illegible] ლია 577 [illegible] 132 პროცენტი. 1945 წლის [illegible] ცის, ერბოს და ყველის 40 პროცენტზე მეტია ჩაბარებული. [illegible] 107,4 პროცენტით, ღორის—104,1, ცხვრის—103,7, ცხენის—105,8 პროცენტით. [illegible] 102,3 პროცენტით, ხოლო [illegible]—117 პროცენტით.

საქართველოს კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის მდივანი [illegible]

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე [illegible]



უკრაინის მეორე ფრონტი. ბრძოლები ბუდაპეშტის მისადგომებზე. საბჭოთა ტანკები მოიერიშეთა დესანტით უტევენ მტერს; საბრძოლო ტექნიკის გადატანა მდინარე დუნაიზე.

ფოტო ბ. ლოსინისა და ა. კომოლოვისა (საქტასის ფოტოქრონიკა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომკავშირული ცხოვრება

ემზადებიან ყრილობისათვის

სოფელ ნორიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაცია რაიონში პირველი გამოეხმაურა თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ახალგაზრდობის მიმართვას.

კრებაზე, სადაც განიხილეს მიმართვა, კომკავშირელებმა იკისრეს თავიანთი ძალებით მოეხნათ 7 ჰექტარი ჩაის ფართობი, გადაებარათ 5 ჰექტარი, შეეფუთათ მანდარინის ნარგავი 7 ჰექტარზე, სიმინდის და მანდარინის ფართობებში შეეტანათ 100 ტონა ნაკელი. ენერგიული მუშაობის შედეგად ეს ვალდებულებანი მათ 23 დეკემბრისათვის პირნათლად შეასრულეს. კომკავშირულმა ორგანიზაციამ გადასწყვიტა დახმარებოდა კოლმეურნე დომნა თოფურიას, რომელსაც სახლი დაენგრა. სახლისათვის საჭირო მასალის მოსაზიდავად კომკავშირელები მ. და შ. გვაზავები გამოჰყვეს. საახალწლოდ სახლი უკვე აგებული იყო.

ორგანიზაციამ იკისრა ყრილობის გახსნის დღისათვის ყველა კომკავშირელს ჩააბარებინოს ნორმები „მშთ" I საფეხურის ნიშანზე, შეაგროვოს 3 ტონა ნაცარი, აგროზოოტექნიკურ წრეში ჩააბას 15 ახალგაზრდა. ამ ვალდებულებებს კომკავშირელები წარმატებით ასრულებენ.

დიდი ხანი არ არის, რაც კომკავშირელი არტემ ლოჩოშვილი ტრაქტორის საჭესთან დაჯდა. მოკლე დროის განმავლობაში იგი კარგად დაეუფლა ტრაქტორის მართვას. ზოგავს დროსა და საწვავს. საუცხოოდ მოვლილი ტრაქტორი მუდამ წესრიგში ჰყავს. ლოჩოშვილმა მიმდინარე წლის დავალება 219 პროცენტით შეასრულა, გეგმით გათვალისწინებული 102 ჰექტარის ნაცვლად 222 ჰექტარი მიწის ფართობი დაამუშავა და 443 კილოგრამი საწვავი დაზოგა. როცა მტს-ის კომკავშირული ორგანიზაცია ბელადის სახელობის ქარხნის მიმართვას იხილავდა, ლოჩოშვილმა პირობა დასდო ყრილობის გახსნის დღისათვის გეგმის გადამეტებით 50 ჰექტარი მიწა მოხნას და 60 კილოგრამი საწვავის ეკონომია გასწიოს. 17 წლის ტრაქტორისტმა ივანე სტორჩაკმა, რომელიც სამამულო ომის დაწყებამდე საბჭოთა ბელორუსიაში ცხოვრობდა და აქტიური პიონერი იყო, მიმართვის განხილვისას განაცხადა:—ჩემი მეორე სამშობლო საქართველოა, მამა გერმანელებმა მომიკლეს, უნდა დავეხმარო წითელ არმიას, რათა მან მტერს სამაგიერო მიუზღოს. ყრილობის გახსნის დღისათვის გეგმის გადაჭარბებით 30 ჰექტარ მიწას მოვხნავ, 30 კილოგრამ საწვავს დავზოგავ.

ასეთივე ვალდებულება იკისრა ახალგაზრდა ტრაქტორისტმა შოთა ქოიავამ.

ახალგაზრდა ტრაქტორისტები საქმით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

ო. იოსელიანი

ბავშვები

ომის დღეებში ჩვენი ხალხი ბევრ რამეს იკლებს იმისათვის, რომ ბავშვებს არაფერი მოეკლოთ.

ბავშვები, ჩვენი მომავალი!

მათს ბედნიერებას მრავალმა ვაჟკაცმა შესწირა თავი. მათმა სიყვარულმა მკერდზე ფოლადი გადააკრა და მკლავში ათკეცი ღონე ჩაუდგა ფრონტელ მამებს.

„ვიბრძვი გაბედულად, მძიმე ბრძოლები გვაქვს. მაგრამ მაინც წინ მივდივართ, მხოლოდ წინ. დღე და ღამე ისმის გამაყრუებელი სროლა; იღლები კაცი... და როდესაც ბრძოლით დაღლილი ერთ წამს სანგარში ჩავფიქრდები, მოვიგონებ ჩემს ლალას და ტომიკოს, ფრთები შესხმის, ჰქრება დაღლილობა და გული კვლავ წინ მიმიწევს. არაფერს გთხოვ, ოღონდ ბავშვები კარგად და ჯანმრთელად დამახვედრე".—ასეთ წერილს სწერდა ფრონტიდან თავის მეუღლეს ბორჯომელი მებრძოლი ნიკოლოზ ტიგიშვილი.

ნიკოლოზი ომის პირველ დღიდანვე ფრონტზეა, მამაცობისათვის მთავრობამ წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვა. მისი შვილები ლალა და ტომიკო სულ პატარები იყვნენ, როცა მათი მამა ფრონტისაკენ მიეშურებოდა. ისინი ახლა ბორჯომის რკინიგზელთა საბავშვო ბაღში იზრდებიან. მათ არ აკლიათ მშობლიური მზრუნველობა და ალერსი, ისევე როგორც ამ საბავშვო ბაღის 50 აღსაზრდელს, რომელთაგან 43 ფრონტელთა შვილები არიან.

ფრონტელი ნიკოლოზ ტიგიშვილის წერილი გამონაკლისი როდია. მებრძოლს თუ შვილი ჰყავს, პირველ რიგში მის ამბავს იკითხავს, რადგან საკუთარი თავივით უყვარს შვილი.

ეს კარგად იციან ბორჯომის რკინიგზელთა საბავშვო ბაღის მუშაკებმა, ბაღის გამგემ ვერა ხვიჩიამ, აღმზრდელებმა ლილი ქიპაშვილმა და თამარ მელაძემ, ექიმმა ვალერიან გიორგობიანმა და სხვ. ისინი დიდი პასუხისმგებლობით მუშაობენ. საბავშვო ბაღში მყოფ ბავშვთა დედები კმაყოფილებას გამოთქვამენ ბაღის კოლექტივის კარგი მუშაობით. დედების უმრავლესობა ბორჯომის საწარმოებში მუშაობს საბჭოთა პატრიოტი ქალისათვის ჩვეული გულმოდგინებით.

მარტო საბავშვო ბაღის მუშაკთა კოლექტივის მოვალეობა როდია ზრუნვა ბაღის აღსაზრდელებზე. მათ უნდა ეხმარებოდეს მთელი მოსახლეობა.

წაღვერის საბავშვო ბაღს (გამგე მ. პატარქალაშვილი) არ ჰქონდა შეშა. როდესაც ეს ამბავი კოლმეურნეებმა შეიტყეს, დაუყოვნებლივ დაამზადეს და მოზიდეს შეშა ბაღისათვის ისე, რომ მათთვის ამის შესახებ არავის მოუთითებია. ამავე ბაღის ბავშვებს მოსახლეობამ შეუგროვა სათამაშოები. ბაღში სულ 30 ბავშვია. ყველა მათგანს მამა წითელ არმიაში ჰყავს. აღსანიშნავია ისიც, რომ საბავშვო ბაღის მუშაკებიც ფრონტელთა ცოლები არიან. მუშაობენ შეთანხმებულად.

ადვილი არ არის აღმზრდელისა თუ მომვლელის მოვალეობა უნაკლოდ შეასრულო. მაგრამ ამ სიძნელეს სიხარულიც ახლავს—ნორჩი თაობის აღზრდა იმ დიადი მომავლისათვის, რომლისთვისაც მათი მამები სისხლსა ღვრიან, სიცოცხლეს სწირავენ.

ვ. ზელაშვილი

თურქმენეთის კლასიკოს ზელილის გარდაცვალების ასი წლისთავი

თურქმენეთის რესპუბლიკის საზოგადოებრიობა აღნიშნავს თურქმენეთის კლასიკოს პოეტმეომრის ზელილის გარდაცვალების 100 წლისთავს. თურქმენი ხალხი სასოებით ინახავს ხსოვნას თავისი ნიჭიერი პოეტისას, რომელიც მრავალი წლის მანძილზე იარაღით ხელში იბრძოდა თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის. ზელილის ლექსები და სიმღერები გამსჭვალულია სამშობლოსადმი სიყვარულით, მისი დამპყრობლებისადმი სიძულვილით.

ზელილი დაიბადა 1790 წელს კარაკალაში. თურქმენეთის პოეტები და მეცნიერები მუშაობენ ზელილის ლიტერატურული მემკვიდრეობის შეკრებაზე. საბჭოთა ხელისუფლების წლების განმავლობაში რუსულ და თურქმენულ ენებზე გამოიცა მისი ლექსების კრებულები, დასაბეჭდად მზადდება ახალი კრებული რუსულ ენაზე, სადაც შევა ზელილის ლექსები, რომლებიც ჯერ არ გამოცემულა.

2 იანვარი. (საქდესი).

700 ეშელონი საწვავი წლიური გეგმის გადამეტებით

საწარმოო გამარჯვებებით შეხვდნენ ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშაკები ახალ წელს. „ლენინნეფტის" ტრესტის კოლექტივმა „აზნეფტკომბინატის" ტრესტთა შორის პირველმა შეასრულა წლიური გეგმა, უმაღლესი მთავარსარდლობის ფონდში დამატებით შეიტანა თითქმის 16.000 ტონა თხევადი სათბობი. მრეწველობის მუშაკებმა ამოიღეს 29 ათასი ტონით მეტი ნავთი, ვიდრე 1943 წელს.

700 ეშელონი საწვავი წლიური გეგმის გადამეტებით — ასეთია ბაქოს ნავთის გადამმუშავებელთა საახალწლო საჩუქარი წითელი არმიისათვის. (საქდესი).

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის სამჭედლო საამქროს ამხ. ვ. კორძაძის ბრიგადა, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 1.000-1.500 პროცენტით ასრულებს. სურათზე—(მარცხნიდან მარჯვნივ) ვ. კორძაძე, ო. გრიეზოვსკაია, ვ. მურავიოვი და ლ. ანდრიაშვილი

ფოტო რ. აკოფოვისა

ქობულეთი

შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ ხუთიოდე კილომეტრზე, წიწვოვან და დეკორაციულ მცენარეთა მარადმწვანე ხეივანში გაშენებულია ქალაქი ქობულეთი—საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი სუბტროპიკული რაიონის ცენტრი.

ქობულეთი გასულ წელს გარდაიქმნა ქალაქად. გაჩაღებულია ენერგიული მუშაობა ქალაქის კეთილმოწყობისათვის. რკინიგზის სადგურის მახლობლად სწარმოებს მოედნის მოასფალტება და ქვაფენილების დაგება. აქვე გაშენებულ იქნა ახალი ბაღი, სადაც დარგეს დეკორაციული და წიწვოვანი მცენარეები. სწარმოებს ლენინის ქუჩის გამწვანება. ქალაქის ბაღში გააშენეს რამდენიმე ასეული ძირი ძვირფასი მცენარე.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ახალი შენობების აგება. უკვე მთავრდება 7 ახალი შენობა. წარმატებით მიმდინარეობს ელექტროსადგურის რეკონსტრუქცია, რაც უახლოეს დღეებში დამთავრდება. რაიმრეწვკომბინატი ქალაქში აგებს თოკისა და ძაფის საწარმოებს, აგრეთვე წისქვილსა და ბრინჯის საწმენდს. თვალსაჩინოდ ფართოვდება ტორფის წარმოება.

ქალაქის შემდგომი კეთილმოწყობა ზრდის მოთხოვნილებას ხე-ტყის მასალაზე. იმისათვის, რომ დაკმაყოფილებულ იქნეს ეს მოთხოვნილება, სოფელ ხალაში აგებულია ახალი ქარხანა, რომელიც წელიწადში მოგვცემს 500-ზე მეტ კუბმეტრ ხე-ტყის დახერხილ მასალას.

მიმდინარე წელს განახლდება ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა, აიგება აბანო და კინოთეატრი, მოხდება კულტურის სახლის რეკონსტრუქცია.

ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში გაყვანილ იქნება არხი, რაც უზრუნველჰყოფს დაჭაობებული ადგილების სრულ ამოშრობას. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ქალაქის მოსახლეობის რადიომომსახურება.

ქობულეთი ახლო მომავალში ლამაზი, კეთილმოწყობილი და ყოვლმხრივ მიმზიდველი ქალაქი გახდება.

ტ. ტრაპაიძე

სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა გეგმები

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომა მიძღვნილი იყო 1945 წლის სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა გეგმების განხილვისადმი. ეს გეგმა ითვალისწინებს სამეცნიერო პრობლემათა დამუშავებას, რომელთაც დიდი სახალხო-სამეურნეო, თავდაცვითი მნიშვნელობა აქვთ. ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დარგში მნიშვნელოვნად ფართოვდება მუშაობა, რომელიც დაკავშირებულია კოსმიური სხივებისა და ატომის ბირთვის ბუნების შესწავლასთან. განგრძობილ იქნება ტემპერატურის აბსოლუტური ნულის მახლობლად ფიზიკურ სხეულთა თვისებების კვლევა. ქიმიის დარგში დიდი ყურადღება ეთმობა იშვიათი, გაბნეული და კეთილშობილი ლითონების ქიმიის საკითხებს. გეოლოგიური მეცნიერებანი დაიწყებენ მადნეულ და არამადნეულ წიაღისეულთა განლაგების კანონზომიერების პრობლემების დამუშავებას. გეოგრაფიის ინსტიტუტის გეგმაში შეტანილია მრავალწლიანი შრომის „სსრ კავშირის გეოგრაფიის" შედგენა. ტექნიკურ მეცნიერებათა დარგში დასმული ამოცანები დაკავშირებულია საბჭოთა ტექნიკის შემდგომს განვითარებასთან. ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილების ინსტიტუტების წინაშე ისმება ამოცანა მაღალ საფეხურზე აიყვანონ მანქანათმშენებლობა, თბოტექნიკა და თერმოდინამიკა, აგრეთვე დაამუშაონ ახალი ძრავებისა და ორთქლის მანქანების საკითხები. ეკონომიკისა და სამართლის განყოფილების ინსტიტუტებში განგრძობილ იქნება მუშაობა რუსული ეკონომიური აზროვნების ისტორიის შესადგენად და საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტური ქვეყნების სამხედრო ეკონომიკის პრობლემათა დასამუშავებლად.

გრიბოედოვის დაბადების 150 წლისთავისათვის

მოსკოვი ემზადება ფართოდ აღნიშნოს გრიბოედოვის დაბადების 150 წლისთავი. სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში შესდგება სამეცნიერო სესია ლიტერატურათმცოდნეების, მწერლების, უმაღლეს სასწავლებელთა მეცნიერი მუშაკების მონაწილეობით. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი იუბილეს საზეიმო სხდომით აღნიშნავს. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში შესდგება საზეიმო საერთო კრება. სსრ კავშირის განსახკომი მასობრივ ღონისძიებებს განახორციელებს მწერლის შემოქმედების პოპულარიზაციისათვის. საქალაქო და რაიონულ ბიბლიოთეკებში მოეწყობა ლექციები და საუბრები. სრულიად-საკავშირო რადიოკომიტეტი ამზადებს გრიბოედოვისადმი მიძღვნილ რადიოგადაცემათა ციკლს.

როგორ შეხვდნენ ახალ წელს

თბილისი

თბილისის საორთქლმავლო დეპოს აწევითი და საშუალო შეკეთების საამქრო (უფროსი შ. ხიზანაშვილი) გამარჯვებული შეხვდა 1945 სამეურნეო წელს. საამქროს კოლექტივმა პირნათლად შეასრულა ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის საოქტომბრო მოხსენების და ბრძანების საპასუხოდ აღებული ვალდებულება, 20 დეკემბერს შეკეთებიდან გამოუშვა უკანასკნელი ორთქლმავალი და ამით მოათავა 1944 წლის საწარმოო დავალებათა შესრულება.

ეს წარმატება მიღწეულია საამქროს მუშაკთა კოლექტივის თავდადებული მუშაობით. 1944 წელს საამქრო ზუსტად, გრაფიკის მიხედვით მუშაობდა და სისტემატურად ასრულებდა ორთქლმავლების გამოშვების გეგმას. დეკემბრის ბოლოში წლიური გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ორი ორთქლმავალი, რაც საამქროს კოლექტივმა საახალწლო საჩუქრად მიუძღვნა დედა-სამშობლოს.

საამქრო სანიმუშოდ მოემზადა ახალი სამეურნეო წლის შესახვედრად, დაამთავრა კაპიტალური რემონტი, წესრიგში მოიყვანა დაზგა-დანადგარები, შეაკეთა სხვადასხვა იარაღი, მოამზადა ახალი კადრები და სხვ.

ქუთაისი

ტყავფეხსაცმელის კომბინატმა (დირექტორი გ. დალაქიშვილი, პარტბიუროს მდივანი ნ. კუბლაშვილი) 1944 წლის საერთო გეგმა 31 დეკემბრისათვის 110,8 პროცენტით შეასრულა, ხოლო სპეცდავალებისა—120,6 პროცენტით.

1944 წლის განმავლობაში ფრონტულ ბრიგადებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა დ. ბაბუნაშვილის ბრიგადამ. ამხ. დ. ბაბუნაშვილმა 8 კაცით შეამცირა თავისი ბრიგადა და წლიური გეგმა 190 პროცენტით შეასრულა.

წლიური გეგმების ვადამდე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის კომბინატის ხელმძღვანელობამ საახალწლოდ დააჯილდოვა 15 სტახანოველი.

1945 წლისათვის კომბინატს დაგეგმილი აქვს ახალი პროდუქციის გამოშვება.

ქუთაისელი მეფეხსაცმელეები, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს 1944 წელი, ახალ სამეურნეო წელს სავსებით მომზადებული შეხვდნენ.

კარგად დაამთავრეს გასული სამეურნეო წელი ქუთაისელმა მეკონსერვეებმაც. მათ დიდი რაოდენობით დაუმზადეს ჩვენს სამშობლოს ხორცისა და ხილბოსტნეულის კონსერვები, კონცენტრირებული ნაწარმი, კონცენტრატები და სხვ. პროდუქტები.

საკონსერვო ქარხნის მთავარმა საამქრომ, რომელსაც ამხ. ბ. ფერაძე ხელმძღვანელობს, 30 დეკემბრამდე გადაამუშავა 900 ტონა მანდარინი.

ქარხანამ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა ნატურის მიხედვით 100,8 პროცენტით შეასრულა.

წლიური გეგმის შესრულებისათვის თავდადებულად მუშაობდნენ საამქროთა უფროსები ბ. ფერაძე, ა. ჰეიშვილი, გ. მამაგეიშვილი, ზ. მეძმარიაშვილი და ცვლის უფროსები ინჟინერი მ. ანდღულაძე, არ. ლაიჩავა და ზ. ჯიმიაშვილი. სტახანოველთა შორის თავი ისახელეს ამხ. ა. ცირეკიძემ, ვ. სახლიკინამ, ა. ვოლკოვამ და სხვ.

საკონსერვო ქარხნის ხელმძღვანელობამ ამოცანად დაისახა ახალი წლის პირველ კვარტალში გულდასმით შეამოწმოს ქარხნის მექანიზმები, საწარმოო უბნები და სადაც საჭირო იქნება ჩაატაროს რემონტი. ამას გარდა, ქარხანა საჭირო რაოდენობით გადაამზადებს კადრებს, რათა მომავალ სამუშაო სეზონში უფრო მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია მიაწოდოს მებრძოლ წითელ არმიას და ზურგის მშრომელებს.

კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა წლიური გეგმა ჯერ კიდევ 20 ნოემბრისათვის შეასრულა, ხოლო მას შემდეგ სტახანოვურად იმუშავა წლიური გეგმის გადაჭარბებით პროდუქციის გამოშვებისათვის. 30 დეკემბრისათვის საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა ფაბრიკას 116,3 პროცენტით ჰქონდა შესრულებული.

განსაკუთრებით კარგად იმუშავეს ბ. კვერნაძის ვ. ბაღდავაძისა და ვ. კუპრაშვილის საამქროებმა.

წლის განმავლობაში სანიმუშოდ მუშაობდნენ ვ. ზვიადაძის, ც. ყიფიანის, ქ. ასათიანისა და ო. მებუკის ბრიგადები, რომლებმაც დავალებები 114-120 პროცენტამდე შეასრულეს. ხუთასოვანმა პავლე კუჭუხიძემ, იულია კაშიამ და თინა გურგენიძემ დიდი გადამეტებით შეასრულეს საწარმოო დავალებები და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდნენ.

კიროველები პირობას იძლევიან მეტი წარმატებები მოიპოვონ ახალ 1945 სამეურნეო წელს.

რ ბერიძე

(„კომუნისტის" საკ. კორ.).

ტყიბული

ტყიბულელი მეშახტეები ახალი მიღწევებით შეხვდნენ 1945 წელს. განსაკუთრებით დაწინაურდა ლენინის სახელობის შახტის კოლექტივი, რომელმაც 30 დეკემბრის დილისთვის შეასრულა ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა. შახტის ასეთი დაწინაურება მედალოსანი სამთო ტექნიკოსების გ. ფანჩულიძისა და ლ. ვაშაკიძის უბნების მეშახტეთა დაუღალავი, მაღალნაყოფიერი მუშაობის შედეგია. ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა 1944 წელს, 1943 წლის განმავლობაში ამოღებული ქვანახშირის საერთო რაოდენობის გადამეტებით, უკვე მოგვცა 19.600 ტონა.

1944 წლის საწარმოო გეგმის ვადაზე ადრე შესრულებასთან დაკავშირებით შახტში შესდგა მიტინგი, რომელიც გახსნა საშახტო პარტბიუროს მდივანმა ამხ. ი. იოსელიანმა. მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს შახტის უფროსმა ნ. კვინიხიძემ, უბნების უფროსებმა — ლ. ვაშაკიძემ და გ. ბუცხრიკიძემ, ინჟინერმა ს. ჯღამაძემ და საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. გ. ნასარაიამ.

ამხ. ლ. ვაშაკიძემ თავისი უბნის მეშახტეთა სახელით იკისრა 1945 წლის იანვარში გეგმის გადამეტებით 1.000 ტონა ქვანახშირის ამოღება. მიტინგზე შახტის კოლექტივმა ერთხმად მიიღო ვალდებულება — 30 და 31 დეკემბერს წლიური გეგმის გადამეტებით ამოიღოს და ქვეყანას საახალწლო საჩუქრად მიუძღვნას მრავალი ასი ტონა ქვანახშირი.

დ. ქათამაძე

(„კომუნისტის" საკ. კორ.).

ტყვარჩელი

ტყვარჩელელმა მეშახტეებმა ქვანახშირის ამოღების დეკემბრის დავალება 28 დეკემბრისათვის 100 პროცენტით შეასრულეს, ხოლო მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმა—101 პროცენტით. ეს უზრუნველჰყოფს ქვანახშირის ამოღების ახალ აღმავლობას იანვარში.

ტყვარჩელელები სიტყვას იძლევიან, რომ 1945 წელს საწარმოო დავალებებს გადამეტებით შეასრულებენ, ქვეყანას და ფრონტს მისცემენ მეტ ქვანახშირს, ვიდრე 1944 წელს მისცეს.

გ. მერკვილაძე

(„კომუნისტის" საკ. კორ.).

მახარაძე

მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკამ, რომელიც შეჯიბრებაშია ჩაბმული ქუთაისის აბრეშუმის კომბინატთან, წლიური გეგმა 8 დღით ადრე შეასრულა. 30 დეკემბრისათვის ფაბრიკამ გეგმის გადამეტებით გამოუშვა 687.000 მანეთის პროდუქცია.

საგრეხმა საამქრომ (უფროსი ამხ. შარაშიძე) წლიური გეგმის გადამეტებით 7.058 კილოგრამი ნაგრეხი ძაფი დაამზადა. ასევე დიდ წარმატებას მიაღწია ძაფსალებმა საამქრომ (უფროსი ამხ. დოლიძე).

სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში თავი ისახელეს სტახანოველებმა ც. ღლონტმა, ე. ანთიძემ, ს. ჯიქიამ, ბ. გოგიჩაიშვილმა და სხვ.

ლ. ლოლაძე

(„კომუნისტის" საკ. კორ.).

გ. ჯიბლაძე

დიდი სტალინის სახე ომის პერიოდის ქართულ პოეზიაში*

ქართულ პოეზიაში ჩვენ არ გვეგულება სტალინის ბრძნული სიტყვის, მისი ძალისა და ზემოქმედების უკეთესი დახასიათება, ვიდრე პოეტმა ალექსანდრე აბაშელმა მოგვცა. მის ლექსში „ბელადის სიტყვა" ოსტატურად არის გამოკვეთილი ყველა სახე, მეტაფორა და შედარება, ნათლად, ბუნებრივი სისადავით ჟღერს ყოველი სტრიქონი. პოეტი ამბობს, რომ ბელადის სიტყვა — „სიტყვა კი არა — ბასრი ხმალია, მტრის გულფიცარზე დაძგერებული". ბელადის სიტყვა „სიტყვა კი არა — ცეცხლის ალია, გამარჯვებისთვის ამღერებული". ბელადის „სიტყვის ყოველი მარცვალი იბრძვის, ხმალივით ბრწყინავს, ჰკაფავს და ელავს". „ბელადის სიტყვა წყაროა სიბრძნის, ამიტომ მისწვდა ეს სიტყვა ყველას". ბელადის სიტყვა

„...აფრენილ ორბის ფრთა არი,
ვაჟკაცის მხრებზე გამოსასხმელი.
მხედართმთავარის მძლავრი ხმა არი,
ცის ქუხილივით შორს მოსასმენი.
გრგვინვა გაისმა სტალინის ხმაში,
გამარჯვებათა წინამორბედი,
მტრისკენ დაიძრა ფოლადის რაში
და აგუგუნდნენ ცაში ორბები.
ელვა გამოკრთა იმ ნათქვამიდან
და დაიქუხა გმირთა ბანაკთან:
სამშობლოს ცაზე ბრძოლის კვამლიდან
გამარჯვების დღემ გამოანათა".

სტალინი თანამედროვეობის, ყველა დროისა და ხალხის უდიდესი ადამიანია. მის სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული მონობისა და ძალადობის ბორკილების მსხვრევა, ხალხის გამარჯვებანი, თავისუფლებისმოყვარე ერთა ზეიმი. ეს კარგად გამოხატა პოეტმა გალაქტიონ ტაბიძემ ლექსში „რას ნიშნავს დღევანდელი დღე". დღევანდელი დღე

„ეს არის სიტყვა: ძირს მოძალენი!
ეს გამარჯვებათ არის კანდელი,
ეროვნებათა მარში. სტალინი!
აი რა არის დღე დღევანდელი".

სტალინი — მთელი მოწინავე კაცობრიობის ის ძლევამოსილი და დიადი დროშაა, რომლის გარშემო დაირაზმნენ მსოფლიოს მშრომელები, საუკეთესო, პროგრესული ადამიანები, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის, ხელოვნების მილიონიანი არმია. დიდი სტალინის სახელი ადამიანებს ჩააგონებს მეგობრობას და სიყვარულს, სამშობლოსათვის თავდადებას, შეურიგებელ ბრძოლას რეაქციის ბნელი ძალების, ძალმომრეობის, მონობის, ჩაგვრის, ექსპლოატაციის წინააღმდეგ. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა შესამუსრავად სამამულო ომში დიდი სტალინის დროშა მიუძღვის საბჭოთა ხალხს. ამ დროშას უმღერის ალიო მაშაშვილი:

„სტალინის დროშა გავშალოთ, —
ორბის-ფრთა ნაპერწკლოვანი,
დავსძახოთ ბრძოლის ყიჟინა
მრისხანე, ხმა-ცეცხლოვანი,
მტრებს დავსცხოთ, ქარბუქს მიჰქონდეს
მათი ოხვრა და გლოვანი,
კვლავ ვასახელოთ გმირობით
სამშობლო სახელოვანი!"

ამ დროშით, ლენინისა და სტალინის დროშით მიდიან ბრძოლაში საბჭოთა ადამიანები და სამაგიეროს უზღავენ მომხდურ მტერს, რომელმაც ხელი აღმართა ჩვენი ღირსების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი მონაწილეობს. ამ ბრძოლაში ქართველი ხალხის ბევრმა შვილმა ისახელა თავი. მათ მიმართავს პოეტი ირაკლი აბაშიძე თავის ლექსში „სამშობლოსათვის, სტალინისათვის!"

„მაშ ლენინის დიად დროშით
ვუზღოთ მომხდურთ მაგიერი,
სტალინისთვის, სამშობლოსთვის,
ქართველებო, ვკაფოთ მტერი".

გმირ მებრძოლებს გზას უნათებს დიდი სტალინის გენია. მათ ლოცავს მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი საბჭოთა ხალხი. თუნდაც რომ მოკვდეს სამშობლოსათვის, მას „სხვა გზა არა სწამს სამშობლოს გარდა", — ეს ოსტატურად სთქვა პოეტმა ილო მოსაშვილმა:

„დიდება ვაჟკაცს! გზა საომარი
წინ გაჰფენოდეს იად და ვარდად!
სამშობლოსათვის, სტალინისათვის
ჩვენმა ლამაზმა ქვეყანამ ზარდა,
სამშობლოსათვის კვდება და მაინც
სხვა გზა არა სწამს — სამშობლოს გარდა!"

სტალინის სახელთან არის დაკავშირებული ყველა ჩვენი გამარჯვება. მისი გენიის ძალა ეხმარება მებრძოლს დაამარცხოს მტერი და ასახელოს სამშობლო. უსაზღვრო იყო და არის საბჭოთა ადამიანების სიყვარული თავისი მშობლიური ბელადისადმი. ეს სიყვარული გამოხატა გრიგოლ აბაშიძემ ლექსში — „სტალინს — დიდ სარდალს". პოეტი მიმართავს ბელადს:

„შენ სიცოცხლეს გწირავენ,
როგორც უთქმელ მადლობას,
ქვეყნის ხსოვნა მიჰყვებათ
შენი სახის ნახატად,
შენმა დიდმა გმირობამ,
შენმა მთავარსარდლობამ
ჩვენი ბრძოლაც, სიცოცხლეც
სასახელო გახადა".

ბელადის სიბრძნით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი, დარწმუნებული თავის კოლოსალურ ძალებში, გამარჯვების უღრმესი რწმენით მიჰყვება სტალინის აზრს და ამბობს:

„ჩვენ მისი აზრის აფრას მივყვებით,
მისი სიბრძნის ცეცხლს და ელვარებას".

ისტორიას არ ახსოვს, რომ ბელადი და ხალხი ასე მტკიცედ ყოფილიყოს შეერთებული. ამ სიმტკიცეს გამოხატავს პოეტი კარლო კალაძე „სავაზაფხულო ელვა-ქუხილში", როცა ამბობს:

„ჩვენი ბელადის ძლიერი ხელი
თვით გაზაფხულის სუნთქვას განაგებს".

ბელადისა და ხალხის ამ ურთიერთ სიყვარულშია გამოჭედილი ის მრისხანე იარაღი, რომელმაც გერმანელები დაამარცხა მოსკოვთან, ლენინგრადთან, სტალინგრადთან, მთლიანად გასწმინდა ჩვენი სამშობლო მტრის ურდოებისაგან. ამ სიყვარულს გამოხატავს გალაქტიონ ტაბიძე ლექსში „მამულო, სიცოცხლეო!"

„რაკი მძლავრობს ხალხის ხმა
და სტალინის გენია —
ვიცით, რომ საბოლოო
გამარჯვება ჩვენია".

ხალხის ცხოვრებაში ამხანაგ სტალინის წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ", — გამოსვლა ისტორიული მოვლენა იყო. ეს ბრძნული წიგნი ბრძოლისა და მოქმედების პროგრამას წარმოადგენს ფრონტისათვის, ზურგის მებრძოლებისათვის, მთელი საბჭოთა ხალხისათვის. თუ რა განიცადა ამ გენიალური წიგნის მიღებით ფრონტელმა, როგორ გაეხმაურა და ჩასწვდა მის გონებას, სულს, მისწრაფებას, აზრებსა და განწყობილებებს, მიმზიდველ პოეტურ ფორმებში გამოხატა ახალგაზრდა პოეტმა რევაზ მარგიანმა. მებრძოლს სანგარში აჩუქეს წიგნი — „ნათელი აზრებით ნაქსოვი, — დიდების უკვდავი წიგნი". ეს წიგნი მას ყველგან თან ჰქონდა — ბრძოლაში, როცა მტერს შეება, გრიგალში ფარად უძღოდა, როგორც „სამშობლოს ცეცხლი და ძალა":

„მე იგი განუყრელ სინათლედ
თან მახლავს და ვაჟკაცს მხიბლავს,
მამულის ბრძოლა და სიმართლე
შეკრული საყვარელ წიგნად.
მე ერთი წიგნი მაქვს სახსოვრად,
სანგარში მაჩუქეს იგი,
ნათელი აზრებით ნაქსოვი
სტალინის უკვდავი წიგნი".

ქართველმა საბჭოთა პოეტებმა აღფრთოვანებული, პატრიოტული სიმღერები მიუძღვნეს ომიანობის დროინდელ მოსკოვს. როცა მტერი მოსკოვთან იყო, საბჭოთა ადამიანი ენით გამოუთქმელ ტკივილს გრძნობდა. სავსებით გასაგები იყო მისი უდიდესი მრისხანება. მოსკოვი ჩვენი ქვეყნის გულია, ჩვენი იმედი და შუქურა, მარად მანათობელი ვარსკვლავი და მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრების გრანდიოზული ცენტრი:

„დედაქალაქი სუნთქვაა ჩვენი,
ხალხთა ოცნება და სიყვარული,
მხნეობა და იმედი, იქ სძინავს ლენინს,
იქ ჩვენთვის ფეთქავს სტალინის გული".

ამ ლექსში დიდი გულწრფელობით არის გამოთქმული საბჭოთა ადამიანის ყველაზე სპეტაკი, ყველაზე სათუთი სიყვარული სოციალიზმის ქვეყნის ამ გულისადმი. იქ, მოსკოვში, სტალინია, კაცობრიობის უდიდესი ადამიანი. იქ ლენინის მავზოლეუმია — ოქტომბრის დიდი რევოლუციის შემოქმედს სძინავს კრემლის გვერდით. მოსკოვი იცავს მთელ ჩვენს ქვეყანას და მთელი ჩვენი ქვეყანა იცავს მოსკოვს. მეცხრამეტე საუკუნის დიდმა რუსმა პოეტებმა — გრიბოედოვმა და პუშკინმა, ლერმონტოვმა და ნეკრასოვმა, ტურგენევმა და ნიკიტინმა მძლავრად გამოხატეს რუსი ადამიანის მშობლიური სიყვარული მოსკოვისადმი. ლერმონტოვი ოდესღაც ამბობდა:

„Москва, Москва!.. Люблю тебя как сын,
Как русский — сильно, пламенно и нежно!
Люблю священный блеск твоих седин
И этот Кремль зубчатый, безмятежный".

კიდევ უფრო უსაზღვრო და მშობლიურია საბჭოთა ადამიანების სიყვარული მოსკოვისადმი, კრემლისადმი. ლენინისა და სტალინის გენიამ მოსკოვი კიდევ უფრო საყვარელი, კიდევ უფრო ახლობელი, კიდევ უფრო მშობლიური გახადა მრავალეროვანი საბჭოთა ხალხისათვის, მთელი მოწინავე კაცობრიობისათვის. კრემლი ჩვენი სამშობლოს გული და ფარია. როცა მას ვიგონებთ, ჩვენს ცნობიერებაში ბუნებრივად წარმოსდგება ქალაქი გორი, სადაც დაიბადა კაცობრიობის უდიდესი გენიოსი სტალინი, გიგანტური გზა, რომელიც ბელადმა განვლო მზიური პატარა გორიდან მოსკოვის დიდ კრემლამდე:

„ასე, სამშობლოს გული და ფარი
კრემლი გორს იცავს, გორიც მას იცავს.
ქართლში როდესაც დუდუნებს მტკვარი,
ბუნების ენით კრემლის მზეს ჰფიცავს".

ქართველი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს, რომ მისი ისტორიის უმძიმესი განსაცდელის ჟამს, როცა ჰიტლერელი კანიბალები კავკასიონის ამაყ მთებს მოადგნენ ჩვენი ქვეყნის ასაოხრებლად და დასამონებლად, დიდმა სტალინმა ამხანაგ ლავრენტი ბერიას მიანდო კავკასიის მისადგომებთან ფაშისტური ბანდების განადგურება. ქართველი ხალხის საყვარელმა შვილმა ბრწყინვალედ განახორციელა სტალინის ბრძნული სტრატეგიული გეგმა. დარაზმა ამიერკავკასიის ხალხთა ძალები, შეამჭიდროვა ფრონტის არმიები და გამანადგურებლად დაარტყა კავკასიონის ჰალარა ქედებთან მუხანათურად მოსულ მტერს. ამხანაგ ლავრენტი ბერიას ამ უდიდეს ისტორიულ დამსახურებას მრავალი სიმღერა და ლექსი უძღვნეს ქართველმა პოეტებმა. პოემაში „ძლევის ქედი" გრიგოლ აბაშიძემ იმ დღეების მღელვარე ამბები ასე მიმზიდველად დაგვიხატა:

„მშობელი ქვეყნის გადასარჩენად
ასე მოვიდა დიდი ქართველი,
და საქართველომ იგრძნო მარჯვენა,
ბელადის ნების გამომხატველი.
ახლოვდებოდნენ შავი ღრუბლები,
მოვიდა გმირი და გზა გვაჩვენა,
ახალი ქართლის თავისუფლების,
სტალინის აკვნის გადასარჩენად".

„კასპიის ზღვიდან მოკიდებული ხელი შავ ზღვამდე გასწვდა მზრუნველი". და შემდეგ, როცა მტერი დამარცხებულ იქნა, როცა კავკასიის მამაცმა დამცველებმა მიიღეს მედალი „კავკასიის დაცვისათვის", ქართველმა ხალხმა უდიდესი მადლობის ნიშნად შესანიშნავი წერილი გაუგზავნა უმაღლეს მთავარსარდალს, საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ სტალინს. ეს წერილი შემდეგ ლექსად გამოსთქვეს პოეტებმა გიორგი ლეონიძემ, ალიო მაშაშვილმა, ალექსანდრე აბაშელმა, სიმონ ჩიქოვანმა, ილო მოსაშვილმა, ირაკლი აბაშიძემ, გრიგოლ აბაშიძემ. ამ წერილში მთელი ქართველი ხალხი მხურვალე მადლობის სიტყვებით მიმართავს დიდ ბელადს:

„შენ იცოცხლე, ჩვენო მამავ,
ჩვენო მხსნელო, ბრძენთა ბრძენო,
იდღეგრძელე მტრისთვის რისხვად
და სამშობლოს სადღეგრძელოდ".

სტალინი გამარჯვების მთავარსარდალია. ამ გამოთქმაში ხალხმა ჩააქსოვა თავისი უსაზღვრო სიყვარული მშობლიური ბელადისადმი. ხალხმა ამ დიდი სახელით განდევნა ვერაგი მტერი სამშობლო მიწა-წყლიდან. ამ სახელს უმღერის სამშობლო პოეტის სიტყვებით:

„ბელადო! შენს მზეს ვადიდებთ ყველა,
სუსხი შეცვლილი ისევ ზაფხულად,
შენს ბრძენ სახეზე, ვით ცისარტყელა,
ქვეყნის ღიმილი გამოსახულა".

„იცოცხლე! ხალხის გულში გაქვს ბინა —
აზრით ბრძენო და საქმით მართალო,
იცოცხლე! დროშად გვიძღოდე წინა
შენ — გამარჯვების მთავარსარდალო!"

ამ სახელს ხალხი დიდებას უძღვნის პოეტ იოსებ გრიშაშვილის უმშვენიერესი ლექსით:

„დიდება ბელადს, ვინც კრემლის ცაზე
უკვდავ ვარსკვლავად ბრწყინავს და ელავს,
ვინც მოგვიტანა ეს სილამაზე, —
დიდება ბელადს!"

და მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი მოწინავე კაცობრიობა იმეორებს ამ სიტყვებს: დიდება ბელადს!

---

*) დასასრული. დასაწყისი იხილეთ გაზეთ „კომუნისტის" № 1 (7216).

შავი ზღვის ფლოტი. საზენიტო ბატარიის მეთაური საბჭოთა კავშირის გმირი 1-ლი სტატიის ზემდეგი გ. ლიშაკოვი. ფოტო ე. ხალდეისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

სოფლის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის

დიდმა სამამულო ომმა ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს დაუსახა პასუხსაგები თავდაცვითი ამოცანა — მიაღწიონ სანიმუშო სანიტარულ მდგომარეობას ჩვენს ქვეყანაში, რათა ფრონტსა და ზურგს თავიდან აცილონ ინფექციურ დაავადებათა წარმოშობისა და გავრცელების საფრთხე.

საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის ექიმთა პირველმა ყრილობამ ვრცლად განიხილა სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების, სანიტარული და ეპიდემიური მდგომარეობის საკითხები. ყრილობამ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი სოფლად სამედიცინო-სანიტარული საქმის გასაუმჯობესებლად და ამით ჩვენი გმირი წითელი არმიის დასახმარებლად საბოლოო გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ომიანობის განვლილმა წლებმა დაგვანახვა, რომ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებმა ძირითადად გაართვეს თავი რესპუბლიკის სანიტარული თავდაცვის განმტკიცების, ზურგის სანიტარულ-ეპიდემიური კეთილდღეობის უზრუნველყოფის ამოცანებს.

როგორც ცნობილია, ინფექციურ დაავადებათა წარმოშობა ძირითადად უნდა აიხსნას ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა არადამაკმაყოფილებელი გატარებით, ავადმყოფის გვიან გამოვლინებითა და ჰოსპიტალიზაციით, დაავადებათა კერების არადროული, არასრული სადეზინფექციო-სანიტარული დამუშავებით, არასრულფასოვანი ეპიდემიური გამოკვლევით.

ცხადია, მარტო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოთა ძალებით შეუძლებელია წარმატებით ჩატარდეს სანიტარულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი. კომპლექსურ მუშაობაში ეპიდემიის წინააღმდეგ უფრო მეტად უნდა ჩაებან რაიონის, ადგილობრივი საბჭოების, ეპიდემიის საწინააღმდეგო რაიონული კომისიების მთელი ძალები, რაიონული ცენტრების კომუნალური მეურნეობის ორგანოები და მათი დაწესებულებანი (აბანოები, სადეზინფექციო კამერები, სანგამტარები, ტრანსპორტი).

ომიანობის პირობებში ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სასოფლო უბნების სანიტარულ მდგომარეობას. გამოყოფილ იქნა ადგილები, რომლებიც განსაკუთრებით არასაიმედოა ინფექციური დაავადების მხრივ. სოფლებში დაიგზავნა ეპიდემიური ბრიგადები. კომლთა ჩამოვლით გამოვლინებულ იქნა ნაკლოვანებანი, როგორც სანიტარულ, ისე ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარების საქმეში. ყოველივე ამან დადებითი როლი შეასრულა ეპიდემიურ დაავადებათა კერების დროული ლიკვიდაციის საქმეში. ცალკე უნდა აღინიშნოს სანიტარული აქტივის, საზოგადოებრივი სანიტარული რწმუნებულების, საკოლმეურნეო დების როლი. წალენჯიხის, ხობის, ცაგერის, თელავის, თიანეთის, ქვემო სვანეთის, გეგეჭკორის, ამბროლაურის, მაიაკოვსკის, ტყიბულის, მცხეთის რაიონებსა და აჭარის ასს რესპუბლიკაში მათი მონაწილეობის შედეგად ნაწილობრივ გამოსწორდა, ხოლო ზოგან სრულიად აღმოიფხვრა არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ცალკეულ სასოფლო უბანთა სანიტარულ-ეპიდემიური მდგომარეობის საქმეში. ამასთან არის უბნები, სადაც რაიონულმა სახელმწიფო სანიტარულმა ინსპექციამ და უბნის ექიმებმა სუსტად მოაწყეს მუშაობა, ვერ შექმნეს აქტივი, ვერ ჩააბეს საზოგადოებრიობა სანიტარულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ჩატარების საქმეში, რის გამო იქ დაავადება კვლავ დიდია.

საქართველოს სს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის ტროპიკულმა ინსტიტუტმა ჩაატარა გამოკვლევა, რომელმაც შემდეგი გვიჩვენა: ჰელმინტებით დაავადების მნიშვნელოვანი პროცენტი დამოკიდებულია იმაზე, რომ ნიადაგი გაბინძურებულია და ნარჩენის გატანის, მისი უვნებელყოფის საქმე დამაკმაყოფილებლად არ არის დაყენებული. ბევრ რაიონულ ცენტრში, სოფლებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში ეზოს ფეხსადგილი სიძველისა და უვარგისობის გამო მეტად ანტისანიტარულ მდგომარეობაშია, ხშირად თხევადი სიბინძურე ქუჩაში გადის და ინფექციის ნამდვილ კერას წარმოადგენს. ამ ნაკლის გამოსასწორებლად მოეწყო როგორც ქალაქების, ისე სასოფლო რაიონების გაწმენდის ერთთვიური, რამაც ფართო მონაწილეობა მიიღო მოსახლეობამ და სოფლის აქტივმა.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის წყალმომარაგების საკითხებს. წყალმომარაგების დარგში ბევრი სასოფლო საექიმო უბანი სუსტად მუშაობს. ხშირ შემთხვევაში სასმელი წყლის ჭების სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, ჭების მიწისზედა ნაწილები დაზიანებულია, არ არის სახურავები, საზოგადოებრივი ვედროები, მოედანი ჭის ირგვლივ ანტისანიტარულ პირობებშია. ძალიან იშვიათად ხდება ჭის გასუფთავება. იმ სოფლებში, სადაც წყალსადენი მოიპოვება, სასოფლო უბნის ექიმებმა სათანადო ყურადღება უნდა დაუთმონ წყალსადენის ნაგებობათა სანიტარულ-ტექნიკურ მდგომარეობას. სასოფლო უბნის ექიმი მოვალეა აღრიცხული ჰქონდეს ყველა სასმელი წყარო და საჭირო შემთხვევაში იცოდეს როგორ ჩაატაროს სადეზინფექციო მუშაობა.

იგივე უნდა ითქვას კვების პროდუქტების სანიტარიის დარგში. სოფლად ადგილი აქვს პატარა სასაკლაოებისა და საკოლმეურნეო მოედნების არადამაკმაყოფილებელ სანიტარულ-ტექნიკურ მდგომარეობას. ხშირად მათი კეთილმოწყობა არ სწარმოებს. მართალია, ამ ბოლო დროს სოფლად გაუმჯობესდა ერბოკარაქ-ყველის ქარხნების მდგომარეობა, მაგრამ მისაღები პუნქტები კვლავ ძველებურად გამოიყურებიან. რაიონულმა სახელმწიფო სანიტარულმა ინსპექტორებმა, აგრეთვე სოფლის ექიმებმა, ამ საკითხს სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ და აწარმოონ შეუნელებელი სანიტარული კონტროლი.

საკოლმეურნეო ბაზრების საერთო სანიტარული მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ არა ყველგან. ბევრი რაიონული და სასოფლო ბაზარი პრიმიტიულად გამართული და ნაკლებად კეთილმოწყობილია. ამიტომ სოფლის ექიმებმა გაძლიერებული ყურადღება უნდა მიაქციონ და მეტი კონტროლი გაუწიონ ბაზრების სანიტარულ მდგომარეობას.

1943 წელს ზოგიერთი რაიონული საავადმყოფოს მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელი იყო. 1944 წელს ბევრი ნაკლი, როგორც სამკურნალო სამუშაოს, ისე რეჟიმის შესრულების მხრივ, აღმოიფხვრა. ავადმყოფთა მოვლა და კვება გაუმჯობესდა.

საზოგადოებრივი სანიტარული რწმუნებულები და ინსპექტორები უდიდეს ძალას, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების დიდმნიშვნელოვან რეზერვს წარმოადგენენ. პრაქტიკამ ცხადჰყო, რომ იქ, სადაც სამედიცინო პერსონალი ხელმძღვანელობს და ამოწმებს მათს მუშაობას, რეგულარულად მართავს მათთან თათბირს, ისინი კარგად მუშაობენ, დიდ დახმარებას უწევენ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს. საჭიროა განუწყვეტლივ აღვზარდოთ და დავაწინაუროთ სანიტარული საქმის აქტივისტები კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებში.

საქართველოს სს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი და მთავარი სახელმწიფო სანიტარული ინსპექცია არასაკმარისად სთვლიან ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოების მუშაობას სოფლად ეპიდემიის საწინააღმდეგო და სანიტარულ ღონისძიებათა მოწყობა-გატარების საქმეში. მათ საჭიროდ მიაჩნიათ გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

ჯანმრთელობის დაცვის რაიონულმა განყოფილებებმა უნდა მოაგვარონ და განამტკიცონ სოფლის ექიმთა კავშირი რაიონულ პოლიკლინიკებთან, აგრეთვე საავადმყოფოებთან, სასოფლო საექიმო უბნებში ეპიდემიის საწინააღმდეგო და სანიტარულ ღონისძიებათა მოწყობა-გატარების საკითხებში (პროფილაქტიკური აცრა, ინფექციური ავადმყოფების ჰოსპიტალიზაცია, კერების სადეზინფექციო-სანიტარული დამუშავება და სხვ.). უკეთ მოაწყონ მუშაობა საზოგადოებრივ-სანიტარულ ინსპექტორებთან, მოაგვარონ მათი აღრიცხვა, კვალიფიკაციის ამაღლების საქმე, მოუწყონ მათ მოკლევადიანი სემინარები, სწორად გამოიყენონ სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის კადრები, ჩააბან ისინი სოფელ ადგილების სანიტარული გაჯანსაღებისა და ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა ჩატარებაში.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებული ეპიდემიის საწინააღმდეგო რესპუბლიკური კომისიის წინაშე უნდა დაისვას საკითხი, რათა მშრომელთა დეპუტატების რაიონულმა საბჭოებმა სათანადო სავალდებულო დადგენილებანი გამოსცენ სოფლის წყაროების დასაცავად, სამეურნეო ნარჩენებისა და პატივისაგან დასახლებული პუნქტების ტერიტორიის გასაწმენდად, პრიმიტიული ფეხსადგილების გასაკეთებლად, უმარტივესი აბანოების ასაგებად, რომლებიც საათში გაატარებენ 10-15 კაცს. ადგილობრივი სახელმწიფო-სანიტარული ინსპექციის მეშვეობით უნდა დაწესდეს საკოლმეურნეო სახლების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების საერთო საცხოვრებლების, საპარიკმახეროების, სკოლების, საბავშვო ბაღების, საბავშვო მოედნებისა და ბაგების სანიტარული მდგომარეობის მუდმივი მეთვალყურეობა. რაიონულმა სახელმწიფო-სანიტარულმა ინსპექციამ და სოფლის ექიმებმა უნდა გააძლიერონ სოფლად სასაკლაო მოედნების, სარძეო-სასაქონლო ფერმების, სავაჭრო მოედნებისა და ბაზრების, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების სასადილოების სანიტარული კონტროლი, დააწესონ განსაკუთრებული მეთვალყურეობა ბრუცელოზიან მეურნეობებზე და იქიდან გამოტანილ პროდუქციაზე.

სასოფლო საექიმო უბნის სამედიცინო პერსონალი მოწოდებულია სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მუშაობა გასწიოს სოფელ ადგილების გასაჯანსაღებლად და ამით ხელი შეუწყოს მოსავლიანობის გადიდებას, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომს სამეურნეო აყვავებას.

ჩვენი ქვეყნის სანიტარული კეთილდღეობის განმტკიცება იგივე ფრონტია, რომელიც მოითხოვს დაძაბულ, თავდადებულ შრომასა და ინიციატივას. განსაკუთრებით დიდია სანიტარული ექიმის და სასოფლო უბნის ექიმის პასუხისმგებლობა. მათ დიდი უფლებები აქვთ მინიჭებული. მათ უნდა დაამყარონ სასტიკი სანიტარული რეჟიმი, მკაცრი სასჯელი დაადონ ხელის შემშლელთ. მათი დამხმარენი არიან ფერშლები, საკოლმეურნეო დები და საზოგადოებრივი სანიტარული ინსპექტორები. ეს აქტივი უნდა აღვზარდოთ, ვასწავლოთ სანიტარული საქმე, გამოვზარდოთ ამ წრიდან სისუფთავისა და კულტურისათვის მებრძოლები.

ი. ფრანგულიანი

საქართველოს სს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მოადგილე და მთავარი სახელმწიფო-სანიტარული ინსპექტორი.

მდგომარეობა საბერძნეთში

ლონდონი, 1 იანვარი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ მოკავშირეთა ჯარებმა დაამთავრეს ათენის სამხრეთ-აღმოსავლეთი გარეუბნების გაწმენდა პარტიზანებისაგან; პირეიში ინგლისელთა ჯარებმა დაიკავეს ახალი სექტორები ნავსადგურის ჩრდილო-დასავლეთით. ელასის („სახალხო-განმათავისუფლებელი ფრონტის") ჯარების იერიში პალენის რადიოსადგურზე (ათენის ახლოს) 31 დეკემბერს დილით მოგერიებულ იქნა. დამთავრდა ედესის (პაპანდრეუს მთავრობის მომხრეები) ჯარების უკანდახევა პოლკოვნიკ ზერვასის მეთაურობით ეპირიდან და მათი ევაკუაცია პრევეზის გავლით კუნძულ კორფუზე.

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ელასის რაზმები თავს დაესხნენ რადიოსადგურს პალენში, ათენიდან 7 მილზე. მათ მოახერხეს სადენების გადაჭრა და ახლა სადგური არ მუშაობს.

ლონდონი, 2 იანვარი. (საკდესი). როგორც გუშინ საღამოს ლონდონის რადიომ გადმოგვცა, ელასის ცენტრალურმა კომიტეტმა რეგენტს არქიეპისკოპოს დამასკინოსს გაუგზავნა მემორანდუმი, რომელშიც აცხადებს, რომ კომიტეტი მზად არის გასცეს ბრძანება სროლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ, რათა დაწყებულ იქნას მოლაპარაკება ახალი მთავრობის შედგენაზე, და დაჰყარონ იარაღი, როდესაც გადაწყვეტილი იქნება პოლიტიკური საკითხები.

თავის მიმართვაში ბერძენი ხალხისადმი რეგენტმა არქიეპისკოპოსმა დამასკინოსმა მოუწოდა დაუყოვნებლივ დაჰყარონ იარაღი, რაც, მისი სიტყვით, წარმოადგენს აუცილებელ წინასწარ პირობას პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტისათვის.

ბრძოლები იუგოსლავიაში

ბელგრადი, 2 იანვარი. (საკდესი). იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბი იუწყება, რომ აღმოსავლეთ ბოსნიაში ბიელინა-ბრჩკოს სექტორში დამარცხებული გერმანელთა ნაწილები უწესრიგოდ იხევენ მაევიციდან ტრებავისა და ოზრენის მიმართულებით. ვარდიშტეს სექტორში იუგოსლაველთა ნაწილებმა გააფთრებული ბრძოლების შემდეგ დაიკავეს ქალაქი მოკრა გორა — გერმანელთა ძლიერი დასაყრდენი პუნქტი, რომელიც იფარავდა მდინარე პრაჩას ხეობის მისადგომებს, რომელზედაც გადის კომუნიკაცია სარაევოსაკენ.

სანჯაკში იუგოსლაველთა და ალბანელთა ნაწილები განაგრძობენ განუწყვეტელ თავდასხმებს გერმანელთა ნაწილებზე, რომლებიც მდინარე ლიმის ხეობით ჩრდილოეთის მიმართულებით იხევენ უკან, და მძიმე ზარალს აყენებენ მათ. ბიელოპოლეს სექტორში ლიკვიდირებულია გერმანელთა რამდენიმე დასაყრდენი პუნქტი მდინარე ლიმის მახლობლად; პრიეპოლიესაკენ მიმავალ გზას იუგოსლაველთა ნაწილების ნაღმსატყორცნები უშენენ.

მდინარე ბოსნას ხეობაში გრძელდება ბრძოლები სარაევო-ბროდის კომუნიკაციაზე.

სლოვენიაში მოგერიებულია გერმანელთა ყველა იერიში პრიმორიეს განთავისუფლებულ ტერიტორიაზე.

სლოვენიაში გრძელდება იუგოსლაველთა ნაწილების აქტიური ოპერაციები მოწინააღმდეგის კომუნიკაციებზე ჯაკოვო-ოსიეკისა და ნაშიცე-მიხოლაცის სექტორში. გერმანელებს დიდი ზარალი მოსდით.

პარადი ლიუბლინში

ლიუბლინი, 1 იანვარი. (საკდესი). კრაიოვა რადა ნაროდოვას შექმნის წლისთავისა და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის პოლონეთის რესპუბლიკის დროებით ნაციონალურ მთავრობად გარდაქმნის აღსანიშნავად დღეს ლიუბლინში ჯარების პარადი გაიმართა.

პარადი მიიღეს კრაიოვა რადა ნაროდოვას პრეზიდენტმა ბ. ბერუტმა, პრემიერ-მინისტრმა ე. ოსუბკა-მორავსკიმ და თავდაცვის მინისტრმა გენერალმა როლია-ჟიმერსკიმ.

საბერძნეთის მთავრობის გადადგომა

ლონდონი, 1 იანვარი. (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, მთავარეპისკოპოსი დამასკინოსი რეგენტის უფლებების განხორციელებას შეუდგა. საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი პაპანდრეუ კაბინეტის ყველა წევრთან ერთად გადადგა. მთავარეპისკოპოსი დამასკინოსი შეუდგა საბერძნეთის ახალი მთავრობის შედგენას.

ბონომის განცხადება ჩრდილოეთ იტალიაში შექმნილი ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის შესახებ

პარიზი, 31 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო რომიდან გადმოგვცემს, იტალიის პრემიერ-მინისტრმა ბონომიმ 30 დეკემბერს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ იტალიის მთავრობამ ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი ჩრდილოეთ იტალიაში სცნო თავის წარმომადგენლად ამ ზონაში.

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 2 იანვარი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა არტილერიამ გაჰფანტა მტრის პატრულები, რომლებიც კვლავ ცდილობდნენ გადასულიყვნენ მდინარე მაასზე რურმონდის რაიონში. არდენის შვერილის ჩრდილოეთ ფლანგზე მოკავშირეთა ჯარებმა მიაღწიეს სენტ-იუბერის სამხრეთით ორ მილზე ნაკლებ მანძილზე მდებარე პუნქტებს. მოკავშირეებმა ერთგვარ წარმატებებს მიაღწიეს მუარსის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში. მოკავშირეთა ნაწილები რემანში შევიდნენ და დაიკავეს ომონი და შენონი. ბასტონის რაიონში მოგერიებულია მტრის ორი კონტრიერიში. მტრის მიერ ვილცის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოტანილი კონტრიერიშის შემდეგ ამ რაიონში გააფთრებული ბრძოლები გაიმართა. მოკავშირეთა ნაწილებმა რამდენიმე წაიწიეს წინ ხიდწინა სიმაგრის რაიონში საარლაუტერნში.

ბიტშემსა და რაინს შუა მდებარე რაიონში მოწინააღმდეგის სახმელეთო ძალები აქტივობას იჩენდნენ. ბანშტეინის სამხრეთით მდებარე ტყიან ადგილში მტრის ერთ-ერთი იერიში წარმატებით დამთავრდა.

აღსანიშნავია მოკავშირეთა ავიაციის აქტიური მოქმედება.

1 იანვარს ღამით მძიმე ბომბდამშენები თავს დაესხნენ გერმანიას. იმ ობიექტებს შორის, რომლებმაც დაბომბვა განიცადეს, იყვნენ დამხარისხებელი სადგურები ვოვინკელში და ბენზოლის ქარხანა. მოკავშირეთა თვითმფრინავები თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის ჯარებს ცულპიხის, მაცენისა და კლერვოს რაიონში.

ლონდონი, 2 იანვარი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ საომარი ოპერაციები იტალიაში მზვერავთა მოქმედებით განისაზღვრებოდა.

პოლონეთის განთავისუფლებული ოლქების გლეხთა პირველი ყრილობა ლიუბლინში

ლიუბლინი, 30 დეკემბერი. (საკდესი). 30 დეკემბერს ლიუბლინში გაიხსნა პოლონეთის განთავისუფლებული ოლქების გლეხთა პირველი ყრილობა. ყრილობაზე გამოცხადდა 1.400-მდე დელეგატი. ყრილობას მისალმებით მიმართეს კრაიოვა რადა ნაროდოვას თავმჯდომარემ ბერუტმა, პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარემ ოსუბკა-მორავსკიმ, „სტრონიცტვო დემოკრატიჩნეს", პროფკავშირებისა და ახალგაზრდობის ორგანიზაცია მუშათა უნივერსიტეტების ამხანაგობის წარმომადგენლებმა.

გამოსულნი მოუწოდებდნენ ყრილობას, რათა მან მთელი ღონისძიებანი მიმართოს ქვეყნის აღდგენისაკენ, გლეხთა ურთიერთდახმარების კავშირების განმტკიცებისაკენ, პოლონეთის სოფლის ეკონომიური და კულტურული დონის ამაღლებისაკენ.

პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის მიწათმოქმედების განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილემ ბერტოლდმა აცნობა ყრილობას, რომ პოლონეთის განთავისუფლებულ რაიონებში მიწის რეფორმა მთლიანად დამთავრებულია. განაწილებულია 204.508 ჰექტარი მიწა. მიწა დაურიგდა ყოფილ სასოფლო-სამეურნეო მუშათა 17.321 ოჯახს, 16.736 უმიწაწყლოს, 69.328 მცირემიწიანს, 4.349 საშუალო გლეხურ მეურნეობას და ომის ინვალიდთა, პოლონეთის ჯარის დამსახურებულ ჯარისკაცთა 1.934 ოჯახს და მუშათა ოჯახებს. გარდა ამისა, სამრეწველო მუშებისათვის გამოყოფილია 6.000 საბოსტნე ნაკვეთი, 38.811 ჰექტარი მიწა გამოყოფილია საცდელი მეურნეობებისათვის, მეცხოველეობის ბაზებისა და 26 სასოფლო-სამეურნეო სკოლისათვის.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა მოხსენება გლეხთა ურთიერთდახმარების კავშირის ამოცანების შესახებ.

მოხსენებათა გამო გაიმართა გაცხოველებული კამათი. დელეგატები მხურვალე მადლობას უძღვნიდნენ პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტს მიწის რეფორმის ჩატარებისათვის და ერთსულოვნად აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა სოფლის მეურნეობის კულტურისა და ნაყოფიერების ამაღლება.

მასობრივი მიტინგი დებრეცენში

უნგრეთის პრემიერ-მინისტრ მიკლოშის გამოსვლა

დებრეცენი, 2 იანვარი. (საკდესი). განთავისუფლებული უნგრეთის ბევრ ქალაქში გუშინ შესდგა ხალხმრავალი მიტინგები, მიძღვნილი დროებითი ნაციონალური კრების დეპუტატთა არჩევნებისადმი.

მიტინგზე დებრეცენში გამოვიდა დროებითი ნაციონალური მთავრობის პრემიერ-მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი მიკლოშ ბელა. თავის სიტყვაში მან სთქვა, რომ უნგრელი ერი ყოველთვის იყო გერმანიის ყაჩაღური მისწრაფებათა ობიექტი. განმათავისუფლებელ ომებში, რომლებსაც უნგრეთი ეწეოდა, მისი უბოროტესი მტრები გერმანელები იყვნენ. ისინი ასეთივე დარჩნენ. ეს დაამტკიცა ჰიტლერულმა გერმანიამ. მან არ იკმარა ის, რომ ჩვენი ქვეყანა ეკონომიურად გაძარცვა. მან მოსპო უნგრეთის სუვერენიტეტი, უნგრეთის კანონები, მან მოახდინა ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია, ძარცვავდა და სპობდა ნაციონალურ ფასეულობებს, უნგრეთი თავის კოლონიად გადააქცია.

შეეხო რა საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ მოახერხა გერმანიამ ჩაეთრია უნგრეთი კატასტროფაში, მიკლოშ ბელამ სთქვა, რომ უნგრეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხელმძღვანელი პოსტები მეტწილად ეკავათ გერმანული წარმოშობის ადამიანებს ან მათ თანამგრძნობთ. სახელმწიფო აპარატი დანაგვიანებული იყო გამცემლებით, რომლებიც ყველა სახელმწიფოებრივი ღონისძიების შესახებ აცნობებდნენ გერმანელებს. დამნაშავე სალაშის მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდება განხორციელებულ იქნა იმისათვის, რომ ხელი შეეშალათ ჩვენი ქვეყნისათვის გამოსულიყო ომიდან და გერმანელებთან კავშირი გაეწყვიტა. საჭირო იყო ბედის სიმუხთლე იმისათვის, რომ უნგრეთს გაეგო და ერთხელ და სამუდამოდ გაეწყვიტა კავშირი გერმანელ ფაშისტებთან. უნგრეთს, სთქვა მიკლოშ ბელამ, სურს დაამყაროს მეგობრობა და კავშირი მსოფლიოს ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოსთან და, პირველ რიგში, საბჭოთა კავშირთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ინგლისთან. უნგრეთს სურს გულწრფელი თანამშრომლობა მეზობელ სახელმწიფოებთან — იუგოსლავიასთან, ჩეხოსლოვაკიასთან და რუმინეთთან.

პრემიერ-მინისტრს კრების მონაწილეებმა რამდენჯერმე შეაწყვეტინეს სიტყვა ტაშითა და მოწონების შეძახილებით. განსაკუთრებით მქუხარე ტაში გაისმოდა მაშინ, როდესაც ორატორი ლაპარაკობდა იმაზე, რომ მთავრობამ გადასწყვიტა ომი გამოუცხადოს გერმანიას, დროებითი ზავი დასდოს საბჭოთა კავშირთან და გაწმინდოს უნგრეთი ფაშისტური ელემენტებისაგან.

ამავე მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ მიწათმოქმედების მინისტრი ნ-დ იმრე, იუსტიციის მინისტრი დ-რი ვალენტინი აგოშტონი და ფინანსთა მინისტრი დ-რი ვაშარი იშტვანი.

ამერიკელთა 1.600 თვითმფრინავის თავდასხმა გერმანიაზე

ლონდონი, 2 იანვარი. (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, 1 იანვარს ამერიკის „მფრინავი სიმაგრისა" და „ლიბერეიტორის" მარკის 800-ზე მეტი თვითმფრინავი „მუსტანგისა" და „სანდერბოლტის" მარკის 800 ავიაგამანადგურებლის თანხლებით თავს დაესხა ნავთსაწმენდ ქარხანას დოლბერგენში, ბრაუნშვაიგის ჩრდილო-დასავლეთით, სამხედრო და სამრეწველო ობიექტებს ჩრდილოეთ და ცენტრალურ გერმანიაში და რკინიგზის ხიდებს კობლენცის რაიონში.

ომის დამნაშავეთა დაპატიმრება რუმინეთში

ბუქარესტი, 30 დეკემბერი. (საკდესი). პრესის ცნობებით, რუმინეთის მინისტრთა საბჭოს უკანასკნელი გადაწყვეტილების შესაბამისად, პოლიციამ დააპატიმრა ომის დამნაშავეები და ლეგიონერები (რუმინელი ფაშისტები). მარტო ბუქარესტში 27 დეკემბერს ღამით დაპატიმრებულია 1.200 კაცი.

უცხოეთის ქრონიკა

უკანასკნელ დროს ამერიკის წყალქვეშა ნავებმა წყნარი ოკეანის წყლებში ჩაძირეს იაპონიის 27 გემი, მათ შორის ერთი დიდი ავიანოსანი. სულ წყნარ ოკეანეში ომის დაწყებიდან ამერიკის წყალქვეშა ნავებმა ჩაძირეს, ალბათ ჩაძირეს და დააზიანეს იაპონიის 1.090 გემი, მათ შორის 126 სამხედრო ხომალდი.

* * *

1945 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში განზრახულია სავაჭრო გემების გამოშვება, 1944 წელთან შედარებით, 3 მილიონი ტონით გაადიდონ.

* * *

დალმაციაში (იუგოსლავია) ფართოდ არის გაჩაღებული აღდგენითი სამუშაოები. ყველა ოლქში სწარმოებს გზების რემონტი და დანგრეული ხიდების აღდგენა. აღდგენილია ბოქსიტის სამადნოები, გემთსაშენი ვერფები, პაპიროსის ფაბრიკა, ცემენტის ქარხანა და სხვა საწარმონი. შეკეთებულია რამდენიმე ათასი საცხოვრებელი სახლი. (საკდესი).

მ. ფ. ლორთქიფანიძე

28 დეკემბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მიხეილ ფარნაოზის-ძე ლორთქიფანიძე.

მიხეილ ლორთქიფანიძე დაიბადა 1895 წელს ქუთაისში. იქვე მიიღო საშუალო განათლება. 1914 წელს შევიდა თბილისის დრამატიულ სტუდიაში. სტუდიის დამთავრების შემდეგ 1920 წლამდე თამაშობდა ქუთაისის დრამატიულ თეატრში. 1920-დან 1932 წლამდე მუშაობდა რუსთაველის თეატრში. 1932 წლიდან იგი გადავიდა მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში, სადაც მსახიობობის გარდა მოღვაწეობდა რეჟისორთა კოლეგიის წევრად და სტუდიის პედაგოგად. 1926-1930 წლებში იყო ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის წევრი. საშეფო-საესტრადო და წითელი არმიის ქართულ ნაწილებში კარგი მუშაობისათვის დაჯილდოებული იყო სიგელებით.

1944 წელს მიხეილ ლორთქიფანიძეს მიენიჭა საქართველოს სს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება.

მ. ფ. ლორთქიფანიძის სახით მსახიობთა რიგებს მოაკლდა ნიჭიერი, თავდადებული მუშაკი, უსაყვარლესი მეგობარი, მგრძნობიარე და კეთილშობილი ადამიანი. მ. ფ. ლორთქიფანიძის ხსოვნა დიდხანს დარჩება საბჭოთა ხელოვნების მუშაკების, მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

ივ. გვინჩიძე, შ. ლამბაშიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, ვ. ანჯაფარიძე, ტ. აბაშიძე, ც. წუწუნავა, ელ. დონაური, ნ. გოცირიძე, ვ. გოძიაშვილი, პ. კობახიძე, ვ. ყუშიტაშვილი, გ. ჟურული, ვ. ტაბლიაშვილი, ალ. ჟორჟოლიანი, შ. გომელაური, დ. ჩხეიძე, კ. კვანტალიანი, გ. კოსტავა, პ. გელეიშვილი, ალ. ომიაძე, მ. ხარაული, ალ. გომელაური, შ. ჯაფარიძე, ს. თაყაიშვილი, ალ. ხიხარულიძე, ბ. გამრეკელი, თ. ჩარკვიანი, პ. დარახველიძე, ს. იაშვილი, კლ. გურგენიძე, ნ. სინაურიძე.

პრემიერა აფხაზეთის სახელმწიფო თეატრში

აფხაზეთის სახელმწიფო თეატრის ქართულმა დრამამ მაყურებელს უჩვენა დრამატურგ კნორეს 5 მოქმედებიანი პიესა „შეხვედრა ბნელში".

პიესა ასახავს საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის საბრძოლო ეპიზოდებს გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

პიესა დასდგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ვ. მურღულიამ.

მთავარი გმირის ვარიას როლს ასრულებს ახალგაზრდა მსახიობი მარინე თბილელი. იგი დამაჯერებლად განასახიერებს ახალგაზრდა პედაგოგის, რუსი ქალიშვილის უბრალო, მაგრამ მეტად პასუხსაგებ როლს.

სპექტაკლის წარმატებას ხელს უწყობდნენ მსახიობები კ. ბოკუჩავა, ნ. მიქაშავიძე, მ. ჩუბინიძე, ლ. ჰედია, დ. გეგენავა, მ. ძაგნიძე, ტ. ხორავა და სხვები.

დ. გეგენავა

კონსულტაცია

4 იანვარს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის ჩატარდება კონსულტაცია ქართულ და რუსულ ენაზე. თემა: **„ლენინის წიგნი—საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები".** კონსულტაციას ჩაატარებენ ამხ. **ლარცულიანი** (ქართულ ენაზე) და ამხ. **მახარაძე** (რუსულ ენაზე).

თეატრებში

სახელმწიფო ოპერა—3/I—„ტრავიატა", 4/I—„ალი". **რუსთაველის სახელობის**—3, 4/I—„ზოგჯერ ბრძენიც შესცდება". **მარჯანიშვილის სახელობის** — 3/I—„უმზითვო", 4/I — დღისით—„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", საღამოს—„სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი".

კინოებში

3 იანვარს: რუსთაველის სახელობის და ოქტომბერი—„მალახოვ კურგანი". **დამკვრელი**—„საღამოს 6 საათზე ომის შემდეგ". **კომკავშირელი**—„უჩინარი იანი". **ლუქსემბურგის სახელობის**—„უკანასკნელი ღამე". **26 კომისრის სახელობის**—„სიმღერა რუსეთზე".

პასუხისმგებელი რედაქტორი **გ. ნანიტაშვილი**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ 1945 წლის 11 იანვარს, დღის 3 საათზე ინსტიტუტის აუდიტორიაში მელიქიშვილის ქ. № 16 შესდგება სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომა, რომელზეც მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავს თვალის სნეულებათა კლინიკის ასისტენტი **ნიკოლოზ ივანეს-ძე ბერაძე** თემაზე: **„ნორმალური თვალის შიდა წნევაზე საერთო კუნთების დაღლილობის გავლენის საკითხისათვის".**

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან პროფესორი **ნ. ხრამელაშვილი** და დოცენტი **ი. ხიხარულიძე.**

24 იანვარს, დღის 3 საათზე იმავე აუდიტორიაში მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავს ექიმი **ელენე დიმიტრის-ასული ბონდარენკო-ვერხაცკაია** თემაზე: „Состояние резервной щелочности и РН плазмы крови при злокачественных новообразованиях верхних дыхательных путей уха".

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე საპატიო აკადემიკოსი **ვ. ვორონინი** და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი **ნ. ასპისოვი.**

დირექცია

დედა ეკატერინე, და ნინო ინგოროყვა, ძმები ალექსანდრე, კონსტანტინე, რძალი ელენე, დისწული თინა ოჯახებით იუწყებიან რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის **მიხეილ ლორთქიფანიძის** გარდაცვალებას.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი იუწყება რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის **მიხეილ ფარნაოზის-ძე ლორთქიფანიძის** გარდაცვალებას.

დედა აგრაფინა, დები გოგონა, უმანკო, სიძე მიტო ჰეიშვილი იუწყებიან **ლადო კონსტანტინეს-ძე ებრალიძის** გარდაცვალებას.

მარო ჯაში, ნინო, კუკური და ჯემალ პაპკორიები იუწყებიან ძმისა და ბიძის **ილია სიმონის-ძე ჯაშის** გარდაცვალებას.

შვილები სარა, კლარა, მერი, ძმა ბენია, ძმისწული მიშა სანიკიძე ოჯახითურთ იუწყებიან **ნადია სანიკიძე-ახობაძის** გარდაცვალებას.

მოქალაქე **პოლინა მოსეს-ასულ სუსლოვიჩმა,** მცხოვრებმა მილიციის ქ. № 14, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **მაქსიმე ისაკის-ძე აბრამიანთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება ქ. თბილისის კიროვის რაიონის 1-ლი უბნის სახალხო სასამართლოში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახელმწიფო კომისარიატის მუშაკები იუწყებიან ნ. სვანიძის შვილის **მანანას** გარდაცვალებას. გამოსვენება 4/I სპეციალისტების სახლიდან (საბურთალო).

„გრუზზერივპრომის" თანამშრომელთა კოლექტივი იუწყება ა. მალალაშვილის მამის **ზაქარიას** გარდაცვალებას.

ლანჩხუთის რაისაბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან ინჟინერ **ვლადიმერ ებრალიძის** გარდაცვალებას.

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო გამომცემლობის თანამშრომლები იუწყებიან ვალერიან გამყრელიძის მამის **სამსონ გამყრელიძის** გარდაცვალებას.

შვილები თებრონე, სონია, დავით, იასონ, ივანე ოჯახებით იუწყებიან **ბესარიონ ესებ-ძე ურუშაძის** გარდაცვალებას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი იუწყებიან **ვასილ ხავთასის, ესე მურვანიძის და ვლადიმერ ებრალიძის** გარდაცვალებას.

საქართველოს კ. პ. ქობულეთის რაიონული კომიტეტი და რაისაბჭოს აღმასკომი იუწყებიან **ვასილ გიორგის-ძე ხავთასის** გარდაცვალებას.

ვასო და თამარ სიხარულიძეები იუწყებიან ამხ. **ვასო ხავთასის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. მახარაძეში.

შვილები გრუნია, მავრა, შოთა, რძალი ლიდა, სიძე ვალოდია იუწყებიან **ლიზა კვალიშვილის** გარდაცვალებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლები იუწყებიან უნივერსიტეტის სწავლული მდივნის დოცენტ გ. გამყრელიძის მამის **სამსონ გამყრელიძის** გარდაცვალებას.

ირაკლი, ალექსანდრე, ნინო, ვანო ოჯახებით იუწყებიან მამის **ზაქარია გიორგის-ძე მალალაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3/I, 7 ს. გამოსვენება 4/I, 4½ ს. ყორესის, 45.

დედა ლეონინა, მეუღლე ოლია, და ვერა, ძმა ოსიპ, რძალი ანა შვილებით იუწყებიან, რომ 5/I, 4 ს. დანიშნულია **ნიკოლოზ გერასიმეს-ძე კიკაჩეიშვილის** პანაშვიდი.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 00001